[სოცი]ალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 21 სექტემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, [почтамт] ящ. 199. Редакция „Эртоба". ხელის მომწერნი გამოგზავნილ ფულს რედაქციაში [...]. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскiй проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 202 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების № 202

[საქართველ]ოს [...] ბიბლიოთეკა

[ღრ]მად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო ექვთიმეს ასული და შვილი თამარი [მამ]ულაიშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, [რომ] 18 ენკენისთვეს, დილის 4 საათზე საკუთარ ბინაზე (იზმაილოვის შესახვევი № 6, ბინა № 7) ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, ხოლო მეორის საყვარელი მამა

## არსენ ანტონის ძე მამულაიშვილი (ლალიონი).

[მ]იცვალებულს გადმოასვენებენ შაბათს, საღამოს 7 საათზე მისი ბინი[დ]ან (იზმაილოვის შესახ. № 6) ქვაშვეთის ეკლესიაში და გადაიხდიან [პ]ანაშვიდს. კვირას, 11 საათზე პანაშვიდის შემდეგ გაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

---

[„ე]რთობის" რედაქცია მწუხარებით აუწყებს მკითხველებს დაუვიწყარი თანამშრომელის ბელეტრისტ

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

[მ]იცვალებულს გადმოასვენებენ შაბათს, საღამოს 7 საათზე მისი ბინი[დ]ან (იზმაილოვის შესახ. № 6) ქვაშვეთის ეკლესიაში და გადაიხდიან [პ]ანაშვიდს. კვირას, 11 საათზე პანაშვიდის შემდეგ გაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

---

[ს]აოლქო კომიტეტი სოც.-დემ. მუშათა პარტიისა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს პარტიის წევრის, ცნობილი ბელეტრისტის

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

---

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობთ ფრაქციის წევრის, ცნობილი ბელეტრისტის

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

---

გურიის დამხმარე კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის უანგარო მოღვაწის

## არსენ მამულაიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას.

---

თფილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობა მწუხარებით აუწყებს სახალხო მასწავლებლებს კავშირის თავმჯდომარის ამხანაგის, ეროვნულ საბჭოს წევრის და ცნობილი ბელეტრისტის

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას. (2—2)

---

მეოთხე რაიონის კოლექტივი სოც.-დემ. მუშათა პარტიისა მწუხარებით უწყებს ამხანაგებს, პარტიის წევრის, ცნობილ ბელეტრისტის

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

გარდაცვალებას.

---

სახ. სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა მწუხარებით აუწყებს წრის წევრებს სარეპერტუარო კომისიის წევრის

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

---

დიდათ დამწუხრებულნი: ბიცოლა მატა მამულაიშვილისა, რძლები: ოლინკა, მარიამ და პატკულია მამულაიშვილებისა, ბიძაშვილი ნესტორ მამულაიშვილი შვილებით, ბიძაშვილის შვილი გიორგი მამულაიშვილი შვილებით, ალექსი ცხომელიძე ოჯახობით, ფილიპე და სიმონ ცხომელიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მათი ძვირფასი

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

---

ღრმათ დამწუხრებულნი დები: მაშა დათუნაიშვილისა და პაპილე მენაბდისა, სიძეები: დათა დათუნაიშვილი და ლევარსი მენაბდე, დისწულები: ილიკო, გრიშა და ანეტა დათუნაიშვილები, მიშა და დომენტი მენაბდეები, რძლები: ნატა და ანეტა დათუნაიშვილებისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მათი ძვირფასი

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

---

ღრმად დამწუხრებულნი: ამბროსი, პოლიკარპე და ზაქრო ინწკირველები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათი ძვირფასი ბიძის

## არსენ ანტონის ძე მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას. (1—1)

---

დიდათ დამწუხრებულნი: ეკატერინე დავითის ასული ხელაძისა, სოფიო ექვთიმეს ასული გუნცაძისა და ტერეზია ექვთიმეს ასული ხელაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მათი ძვირფასი სიძის

## არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა მართა ფირცხალაიშვილისა, ქმარი—ტერენტი ორაგველიძე, შვილი კუკუშკა (საშა) ორაგველიძე და და—თამარა ფირცხალაიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ ძვირფას და დაუვიწყარ

## მატრონა ორაგველიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 22 სექტემბერს ქ. ლანჩხუთში წმინდა გიორგის ეკლესიაში. (1—1)

---

გულდათუთქულნი და დამწუხრებულნი: პლატონ ალექსის ძე და მეუღლე მისი ვარიჩქა იაგორის ასული შარაძისა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ მშობლებს, ნათესავთ და ამხანაგებს ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის

## ნიკოლოზ ალექსის ძე შარაძის

ყვავილით უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება 21 სექტემბერს. პანაშვიდები ყოველდღე. (2—2)

---

ექიმი იასონ ისიდორის ძე ჟორდანია თავის პატარა ვაჟით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასისა და დაუვიწყარის მეუღლის

## კატუშას

უდროოთ გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა შაბათს, 21 სექტემბერს (8 სექტემბერს ძველის სტილით) მარტყოფის მონასტერში. (2—2)

---

ირაკლი იოსების ძე მგალობლიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 22 ენკენისთვეს (ახალი სტილით) დღის 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მისი საყვარელ მეუღლის

## ნინა ბესარიონ ქართველიშვილის ასულის მგალობლიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

---

გამოუთქმელს მწუხარებაში მყოფი მშობლები: ალექსანდრე და მარიამი გიკაშვილები, ძმა გიორგი, აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და მოკეთეებს, რომ 18 აგვისტოს ქ. ხაშურში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის შვილი და მეორის ძმა, მასწავლებელი

## სოსიკო გიკაშვილი

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში 21 სექტემბერს.

---

შვილები: კონსტანტინე, ელენე და რუსუდან აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 21 ენკენისთვეს დღის 1 საათზე (ახალი დროით) მიცვალებულის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მამის

## ილია გიორგის ძე სუხიევის

სულის მოსახსენებლად.

---

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ქეთევანი და ძმა ვასო ქ[ავ]თარაძენი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

## დავით (დათიკო) ივანეს ძე ქავთარაძის

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა კვირას 22 სექტ. გამოსვენება ფოსტის ქ. № 36 ანჩის ხატის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

ღრმათ დამწუხრებული ბიძა გიორგი იასეს ძე ჩიქოვანი, ბიცოლა მარია გიორგის ასული ჩიქოვანისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა მეორე რაიონის წითელი გვარდიელი

## პავლე ნიკოლოზის ძე ვიგორგინი.

გამოსვენება მოხდება შაბათს.

---

ღრმად დამწუხრებულნი სოლომონ მისი მეუღლე ანნა, შვილები: ოლია, გაბრიელი, ვასილი და ლევანი აზმაიფარაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას მეგობრის სახალხო გვარდიელის

## პავლე ვიგორგინის

უდროვოთ გმირულად გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან ნოხდება შაბათს 2 საათზედ ჩერქეზიშვილის ქუჩა № 147.

---

თბილისის ორგანიზაციის ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლლექტივი, მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს რაიონის წევრის ამხანაგ

## პავლე ვიგორგინის

ტრაგიკულად გარდაცვალებას სოხუმის ფრონტზე.

---

ვაგზლის რაიონის სახ. გვარდიის შტაბი, მწუხარებით აუწყებს, მთავარ და რაიონულ შტაბებს, აგრეთვე ყველა ამხ. სახ. გვარდიელებს, შავი ზღვის პირზე მომქმედი სახალხო გვარდიის მე-4 ჩე როტის მედროშე ს. გვარდიელ

## პავლე ნიკოლოზის ძე ვიგორგინის

გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება ჩერქეზოვის ქუჩიდან № 147 საღამოს 4 საათზე შაბათს 21 სექტემბერს. დასაფლავება საძმო სასაფლაოზე.

---

## კვლავ ბაქოს შესახებ

ბაქოს თათრების მიერ აღებამ საზოგადოების ყველა ჯგუფები და კლასები აალაპარაკა. ამის შესახებ ერთობ ბევრი იწერება.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ბაქო ნავთის „სამეფო" ქალაქია და მის წარმოებასთან შეკავშირებულია მთელი ევროპის და განსაკუთრებით კი, რუსეთის მრეწველობა.

რუსეთის მრეწველობას უნავთოდ არსებობა არ შეუძლია. ბაქოს რუსეთისაგან მოწყვეტა, რუსეთში ნავთის გაუჩენლობა ხანგრძლივათ შეაჩერებს წარმოების მრავალ და უთვალავ დარგებს.

დღეს ეს ნავთის ელდორადო დროებით ისეთ სახელმწიფოს ჩაუვარდა ხელში, რომელსაც მით ჯეროვანად სარგებლობა შეუძლია. მართალია, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დროებით—ბრესტის ხელშეკრულების მეოხებით მეგობრული განწყობილება ჩამოვარდა, მაგრამ მათ შორის ახლა ისეთი ურთიერთობა წარმოიშვა, რომ რუსეთი ვერ შეურიგდება ბაქოს ოსმალეთის თუ ადერბეიჯანის ხელში დარჩენას. მათ შორის მოსალოდნელია მწვავე და ხანგრძლივი შეტაკება.

ჩვენ უფრო მეტს ვიტყოდით: ბაქოს აქვს დიდი საერთაშორისო ეკონომიური მნიშვნელობა. მისი ასეთ პირობებში დატოვება ოსმალეთ-რუსეთის მასშტაბით არ გადაწყდება. აქ მეომარი კოალიციები [—]ამკვედრო-სასიცოცხლოთ არიან დაინტერესებულები, თითოეული ეცდება მომავალში ბაქო და მისი ნავთის წარმოება თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის ქვეშ დააყენოს.

მაშასადამე, ბაქოს საკითხი საერთაშორისო საკითხია და მის გარშემო იმოძრავებენ მეომარ კოალიციების იმპერიალისტები.

ამიერ კავკასიის ცრუ-სოციალისტებს ტყუილად ჰგონიათ, რომ ინგლისის იმპერიალისტები რუსეთის საქმეს გააკეთებენ, ბაქოს დაიბრუნებენ და მას ძველებური პირობით რუსეთს გადასცემენ. ეს ისეთი უტოპიაა, როგორიც სჩვევიათ საერთო პოლიტიკური მოვლენების დაფასებაში.

დღეს ორივე მოწინააღმდეგე კოალიცია: შეთანხმებისა და ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტები აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტას აპირებენ. მათ უნდათ აქეთ მომავალში მტკიცე და ხანგრძლივი ბაზრები იშოვონ და მით უზრუნველყონ თავიანთ ეკონომიური ინტერესები. ეკონომიურ ინტერესებზეა დამყარებული მათი საგარეო პოლიტიკა და ეს ორი მოწინააღმდეგე ძალა აქტიურათ ჩაერევა ბაქოს მომავალის საქმეში.

ვიმეორებთ, ბაქოს ნავთის წარმოების დაპატრონების საქმეში რუსეთის გარდა დიდათ დაინტერესებულნი არიან ინგლის-გერმანია. თითოეული შეეცდება თავის გავლენის ქვეშ დააყენოს ეს ქალაქი.

უკანასკნელი გარემოება კი იმაზეა დამყარებული, თუ რომელი კოალიცია უფრო გამარჯვებული გამოვა მსოფლიო ომიდან. მხოლოდ ერთი კი აშკარაა, ორივე ერთად თავის საკუთარს საქმეებს გააკეთებენ და საკუთარი ხელებით სხვისთვის ნარს არ მოგლეჯენ.

ასეთია იმპერიალისტების სულისკვეთება, მათი ეკონომიური ინტერესების განმტკიცების სურვილი და ამ სურვილზე მათ ხელს ვერავინ აალებინებს. აქ ჰუმანიზმსა და სიმპატიას არავითარი ადგილი არ აქვს და თუ ცრუ-სოციალისტები ამა თუ იმ კოალიციაზე რაიმე იმედებს ამყარებენ,—ეს გულუბრყვილობა და დიდი შეცდომაა.

მართალია დღეს რუსეთი დასუსტებულია, მისი თავდაცვისა და მოგერიების უნარი არარათ გადაიქცა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთმა ბაქოზე სამუდამოთ ხელი აიღოს, თავის მრეწველობის განვითარება-აღორძინებას სამუდამოთ ჯვარი დაუსვას.

ბაქოს ნავთს რუსეთის წარმოებისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ძნელი წარმოსადგენია მან ამაზე ასე ადვილად ხელი აიღოს.

როგორც კი იგი ძალას მოიკრებს, ბაქოზე გამოილაშქრებს და მის კვლავ დაბრუნებას მოინდომებს.

ეს კი შეიძლება მაშინ, როცა რუსეთი ძალას მოიკრებს, რუსეთი ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაძლიერდება; ეს კი ახლო მომავალში ჩვენის აზრით, ერთობ ძნელი წარმოსადგენია.

თუნდაც რომ ეს მოკლე ხანში მოხდეს, მაშინ ადერბეიჯანსა და ოსმალეთს არავინ ჰკითხავს,—რუსეთს წინ წამოეჭიმებიან გერმანიის და ინგლისის იმპერიალისტები, რომლებიც თავიანთ ინტერესებს წამოაყენებენ და ბაქოს რუსეთის ხელში გადასვლას შეებრძოლებიან.

ბაქოსი რუსეთის ხელში ძველ პირობებში დარჩენა, არც ერთი კოალიციისთვის ხელსაყრელი არ არის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ შესძლებს ბაქო ეკონომიურათ მთლათ მოსწყვიტოს რუსეთს. აუცილებლათ ერთიც და მეორეც იძულებული გახდება რუსეთს ბაქოში კონცესიები მისცენ და მით რუსეთის მომავალი ინდუსტრია ნავთით უზრუნველყონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი ბაქოს ახალ პატრონებს მოსვენებას არ მისცემს და მათ მუდმივ მტრათ გადაექცევა.

ჩვენ, საქართველოს დემოკრატები მუდამ იმის მომხრე ვართ და ვიქნებით, რომ ბაქოს წარმოება ისეთ პირობებში იქნას დარჩენილი, ისეთ ნეიტრალურ ქალაქად ითვლებოდეს, რომლის წარმოებით ყველა ქვეყანა, ყოველი კუთხე ისარგებლებს და აქ არც ერთ სახელმწიფოს პოლიტიკურ ბატონობას ადგილი არ ჰქონდეს.

---

## პრესა

ალბულახში მომხდარ თუ მოწყობილ აჯანყებას სამხედრო-საველე სასამართლოს მოქმედება მოყვა.

ამ დღეებში „ბორბა"-ში და „ტრუდოვოე ზნამია"-ში კ. როხლინის წერილი დაიბეჭდა ნოე ჟორდანიასადმი მიმართული, სადაც ავტორი მიუთითებდა სასამართლოს შეცდომაზე, რომლის განაჩენით დახვრეტილ იქნა სტუდენტი კირზნერი.

ჯერ ჯერობით გამოურკვეველია,—მართლა შეცდომა მოხდა თუ არა, მართალია ის, რაც კ. როხლინის წერილში იყო მოყვანილი თუ არა.

ამ საგანზე მუშაობს, საქმეს იძიებს მთავრობის საგანგებო კომისია, მაგრამ „ტრუდოვოე ზნამია"-ს თქმით

„კირზნერის სიკვდილი მთავრობის მიერ ერთი მრავალთაგანი დაკანონებული შესაძლებლობაა. ეს გაუსწორებელი შეცდ[ომ]აა

შემდეგ გაზეთი ჩვეულებისამებრ „მიწასთან ასწორებს" ჩვენს მთავრობას სიკვდილით დასჯის შემოღებისათვის და დასძენს:

„საშინელი დანაშაულობა იქნა ჩადენილი ალბულახში (ბელი კლუჩში). და ის არცხვენს არა მარტო ჯალათებს—ფიზიკურ მკვლელებს, არამედ —ის არცხვენს აგრეთვე ინტელიგენტუალურ მკვლელებს და ყველა იმათ, ვინც დააკანონა ეს საზიზღარი რეჟიმი ტერორისა. გამხეცებული სიკვდილი ცეკვავს! ის დაიწყო ყაზბეგში, გაგრძელდა ალბულახში და განა ბოლო დამთავრდება?

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენსა და „ტრ. ზნ." ესერებს შორის სადავო საკითხი გახდა სწორედ ის, თუ სად დაიწყო ყველა იმ უბედურების სათავე, რომელშიაც ჩვენ მოვექეცით, ვინ უწყობდა ხელს იმ მოძრაობას, რომელმაც ბევრი პატიოსანი მუშაკი იმსხვერპლა?

არავისთვის საიდუმლო აღარ არის ახლა, რომ ჩვენში ჯ[...]ჯოხეთის გაჩენას ბოლშევიკებმა შეუწყვეს ხელი, შემდეგ მათ დაეხმარენ მემარცხენეთ წოდებული ესერები და სხ.

და ჩვენც რომ ფეხის ხმას აეყოლოდით, ახლა ყაჩაღებისა და ავაზაკების ტყვენი ვიქნებოდით!

დაშნაკელთა „აშხატავორი" სწერდა ამას წინად: 15 თუ 20 კაცისთვის იარაღის აყრა ბრბოს მიერ მთავრობას უფლებას არ აძლევს ამ ბრბოს წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღოსო!

გულგრილობაც ასეთი უნდა: ყაჩაღებს ხმას არ უსცემთო!

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა ფასად დაუჯდა ჩვენს ხალხს ტკბილის ენით საუბარი! დაზარალდა ჩვენი დემოკრატიის მოწინავე, საუკეთესო ნაწილი—მუშათა კლასი!

ბევრი მსხვერპლი შეეწირა ამ მართალ[...] უთანასწორო ბრძოლამ.

ბევრ გულუბრყვილოს შეეძლება მართლა სწამდა, რომ ის სოციალისტურ რევოლიუციას ახდენდა, როცა ბნელ ძალებს ხელმძღვანელობდა. და განა ეს შეცდომა არ იყო?

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, და არა მცირე რიცხვი, რომლებიც ამ გულუბრყვილოების მოქმედებით მოხდენილად სარგებლობდენ.

ასეთ გულუბრყვილოთა რიცხვს ეკუთვნოდა დახვრილი კირზნერი,—თუ შეგნებულათ იღებდა არეულობაში მონაწილეობას? მაგრამ არ შეგვიძლია ამასთანავე არ დავსძინოთ, რომ ასეთი გულუბრყვილოთა გამრავლებაში დიდი სამსახური მიუძღვის „ტრუდოვოე ზნამიას" და მის გარშემო შემოკრებილ „ინტერნაციონალურ" ჯგუფს.

ამიტომ ჩვენ კიდევ ვიტყვით: ტყვილად იყრუებს ყურებს „ტრუდოვოე ზნამია"—საცოდავოდ სიკვდილს ასპარეზი ბოლშევიკთა ფურცლებმა მოუპოვეს, შემდეგ ესერებმა, დაშნაკელებმა და სხვა აღვირწახსნილმა პირებმა ეს ასპარეზი გააფართოვეს.

ეს ერთი. მეორეც, როგორც გონია „ტრუდოვოე ზნამია"-ს ქადაგება მთელი სახელმწიფოს დამხობის და მის წინააღმდეგ გველური სისინი, განა ნაკლები ცოდვაა დემოკრატიზმის და ხალხის წინაშე, ვინემ ერთი პირის, გინდ ათეულის სიკვდილი?

ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ისინი თვით ასაზრდოებენ ჩვენი მთავრობისადმი სიძულვილს, და როცა მათი მოშხამული თესლი მწარე ნაყოფს იღებს, ჩვენვე გვდებენ ბრალს.

ინტელექტუალური მკვლელობა თუ გნებავთ, ის „ტრ. ზნ." რედაქციაში მოიკითხეთ, იმ რედაქციაში, რომლის გესლიანი ნაწერები ხალხის გულუბრყვილო მასაში იარაღით გამოსვლათ იქცევა. ჩვენი მთავრობის სასტიკი კანონიბი კი, სჯის იარაღით მხოლოდ იმას, ვინც იარაღით ემუქრება ჩვენს დემოკრატიას.

მაშ, როგორ ჰგონია „ტრუ. ზნამიას" და მათ ძმებს: თავდასხმებისათვის და აჯანყებებისათვის შუბლს დაუკოცნიდენ?

კიდევ ვიმეორებთ, კირზნერის საქმეს კონკრეტიულად გამოარკვევს კომისია, მაგრამ ესერების პოზიციას გოტენტოტურ მორალისას გამოკვლევა,არ სჭირია. მე თუ ავუჯანყდი, ეს კარგია, თქვენ თუ აჯანყებულებს ღირსეული პასუხი გაეცით, ეს ბოროტებააო. გარდა გაბოროტებულ რუსის „ჩინოვნიკებისა"—ვინ დაიჯერებს ამ ბუშმენურ ლოღიკას!

„ტრუდოვოე ზნამია" ხომ ამ „ჩინოვნიკთა ზნამიათ" არის გადაქცეული—სულით, აზრითაც და ლოღიკითაც!

* * *

„შრომა" მიწის სოციალიზაციის ქებაშია. ეს ყოფილა ისეთი ფორმა, რომელიც დიდ სასწაულებს გვიქადის. ამაზე ყოფილა აშენებული მთელი მერმისი ჩვენი და რუსეთის ცხოვრებისა.

სოციალიზაცია მიიღეს და აღიარეს რუსეთში თითქმის ყველგან გლეხებმა, საბჭოებმა, თვით ბოლშევიკებმაც. მაშასადამე, ის დიდებული რამ ყოფილა და ჩვენ, როგორც მისი მოციქულნი, საუკეთესო რევოლიუციონერები ვართო. ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ერთში გაზეთი მართალია: რუსეთში თითქმის ყველა რევოლიუციონურმა ჯგუფებმა აღიარა სოციალიზაცია, იგი დააკანონეს კიდეც.

მაგრამ... მაგარი ის არის, რომ სოციალიზაცია მაინც არსად არ ხორციელდება. მის ნაცვლათ მიწის დაყოფვამ და ქონების დატაცებამ გაიდგა მაგრათ ფესვები.

სოციალიზაცია ვერ გამოდგა ის თილისმა, რომელსაც რუსეთი უნდა ეხსნა კაპიტალიზმისაგან, თუნდ სოფელი რუსეთისა მაინც. პირიქით, იგი შეიქნა მიზეზათ და საფუძვლათ სოფლის რეაქციონურ მაქსიმალიზმისა, რომელმაც ერთიანათ გაანადგურა მრეწველობა შეაფერხა წარმოება, და სოფელი სპეკულიანტთა არმიათ აქცია.

ბოლშევიზმი რუსეთის სივრცეზე ამის უტყუარი საბუთია.

მართალია, „შრომის" მიერ აღნიშნული მეორე ფაქტიც. რუსეთის რევოლიუციას თავისებური ხასიათი აქვს, მაგრამ იცით ეს თავისებურება რაში გამოიხატება? რუსეთის მასსის ნახევრად აზიურობაში. ეს აზიური ელემენტი უახლოვდება რუსეთის რევოლიუციის ბედს ოსმალეთისას მაშინ, როდესაც მისი დადებითი მხარე წააგავს საფრანგეთის დიდ რევოლიუციას.

და ეს აზიურობა, რომელიც უარყოფით მოვლენების დედა-მშობელია, საკმაოთ მრავალი ძაფებით არის დაკავშირებული ამ სოციალიზაციის ქადაგებასა და პრაქტიკასთან, რომლითაც თქვენ ასე მოგაქვთ თავი.

აი ამიტომ გახლავთ, რომ ჩვენ, ახალ უჩვევი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის ხანაში მით უმეტეს, ვერ ვიწამებთ და ვერ მივიღებთ ამ საერთოთ აღიარებულ ფაქტის „სოციალიზაციის" დადებით მნიშვნელობას სწორეთ მის უარყოფაზეა აგებული ჩვენი ქვეყნის დადებით, რეალური, დემოკრატიული და ეკონომიურათაც პროგრესიული პოლიტიკა.

„შრომა" გვიკიჟინებს:

„მხოლოდ თქვენი ბანაკიდან გამოსულმა ჯგუფმა ხელი შეუშალა, რომ ის ცხოვრებაში გატარებულიყო საგსებით".

ხომ ხედავთ მთელ ქვეყანას იგი უცვნია და რადგან ერთ ჯგუფს არ მიუღია, ამიტომ ვერ განხორციელდება. ასეთია ბედი ყოველივე უტოპიური ოცნების და უბედურება ის კი არ არის, რომ არ ხორციელდება, უბედურება ის გახლავთ, რომ მისი დაჟინებით მოთხოვნა და განხორციელებისთვის ზრუნვა — მხოლოდ „რეაქციონურ სოციალიზმის" შედეგებს იწვევს, ესე იგი ცხოვრების არევას და ჩამოქვეითებას.

ამაშია განსხვავება ჩვენსა და ესერებს შორის. — ფაქტის დაფასებაში და არა მის აღნიშვნაში. თქვენთვის ის დადებითია. ჩვენთვის და თვით ცხოვრებისთვის კი—უარყოფითი.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

20 სექტემბერი.

**გერმანიის** რადიო სადგურის ცნობები: „კიევსკაია მისლი" იუწყება, რომ უკრაინის მინისტრთა საბჭომ 16 სექტემბრის სხდომაზე დაადგინა პროტესტი განაცხადოს იმ საშინელების წინააღმდეგ, რასაც ამ ჟამად ბოლშევიკები სჩადიან რუსეთში. ეს პროტესტი დეპეშით უნდა ეცნობოს სხვა სახელმწიფოებს.

ნორვეგიის პრესა აღნიშნავს, რომ ავსტრიის საზავო წინადადებას მხარს დაუჭერენ ნეიტრალური სახელმწიფოებიო. შვედური პრესა ამბობს, რომ ავსტრიის წინადადებას მოპირდაპირენი ისე უცქერიან, თითქოს ეს იყოს სისუსტის მიზეზიო. იტალიის გაზეთები საკითხს ფრთხილად ეპყრობიან. ინგლისური პრესის აზრით არავითარი საფუძველი არ არის, რომ უარყოფილი იქნას საზავო წინადადება. ინგლისში ფიქრობენ, რომ ავსტრიას ამ საკითხში უკან უდგას გერმანია. საფრანგეთის პრესას არ სჯამს წინადადების გულწრფელობა. ამერიკული პრესა უარჰყოფს წინადადებას ზავზე მოლაპარაკების შესახებ და ქადაგობს ომს. ვილსონმა სტატ სეკრეტარის პირით განაცხადა, რომ ამერიკამ უკვე წამოაყენა ზავის პირობები, სხვა პირობებს ის არ სცნობსო.

**ბერლინი.** ბიხსოოტის ჩრდილოეთით ჩვენ დავსცალეთ სანგრები და წამოვიყვანეთ 136 ტყვე ბელგიელი. იპრისა და ლა-ბასსეს შუა მშვიდობით მოქმედებაა. სომის რაიონში ინგლისელებმა კვლავ იწყეს ჩვენზე იერიშებით მოსვლა. გუზოკურტის და ხარეკურტის შუა ჩვენ მოვიგერიეთ იერიშები. ეპეგი და რონსუა მათ ხელში დარჩა. სომის სამხრეთით ფრანგების იერიშები უნაყოფო იყო. ელეტსა და ეენს შუა საარტილერიო სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო.

**პარიზი.** უკანასკნელ დღეებში სენ კვენტინის სამხრეთ-დასავლეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს, მიუხედავათ გერმანელების სასტიკი წინააღმდეგობისა. სამხრეთით ჩვენ ბრძოლის ხაზი წინ წავსწიეთ ბენეამდე. ეუის დასავლეთით გერმანელებს უნაყოფო იერიშები მოჰქონდათ.

**ბერლინი.** ჩვენმა წყალ ქვეშ მავალმა ნავებმა დაღუპეს ინგლისის გემები 29 ათასი ტონი წყალ წყვისა.

**მოსკოვი.** ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიულეტენი. კიევში მომხდარ შავრაზმელთა სხვადასხვა თათბირებში მხურვალე მონაწილეობას იღებს სახელმწიფო დუმის ყოფილი წევრი ზამისლოვსკი. ზამისლოვსკის გარდა მონაწილეობენ ცნობილი კრუპენსკი და გურკო.

ბესარაბიის დამფუძნებელი კრების არჩევნები დაიწყო.

## ახალი ამბები

აკაკი ჩხენკელის დეპეშა. გუშინ წინ საქართველოს მთავრობამ აკაკი ჩხენკელისაგან ბერლინიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: 6 სექტემბერს რუსეთის და გერმანიას შორის მოხდა დამტკიცებულ ხელშეკრულობათა გაცვლა, რომლის ძალით ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა—უკვე მომხდარი ფაქტია. გილოცავთ. ყოველგვარი ჩემი ცდა, რომ ასეთივე ბედი წვეოდა ჩვენს მეზობლებს უნაყოფო დარჩა.

◆ **არსენ მამულაიშვილის ცხედარს** დღეს საღამოს 7 საათზე გამოასვენებენ თავის ბინიდან და წაასვენებენ ქაშვეთის ეკლესიაში, სადაც გადაბდილ იქნება პანაშვიდი. დასაფლავება მოხდება კვირას, დილის 11 საათზე დიდუბის სასაფლაოზე.

◆ **დეზერტირები.** 17 სექტემბერს სადარაჯო მიატოვეს წამლის საწყობთან და გაიქცენ მე-4 მსროლელი პოლკის ჯარისკაცები: ივანე ჩარპატაშვილი და მიხ. კისტაური. ესენი სიღნაღის მაზრის, სოფ. კარდანახის მცხოვრებნი არიან.

◆ **ქართულ გერმანულ საზოგადოებაში.** კვირას, 22 სექტემბერს საღამოს 7 საათზე (ფრეილინის ქ. № 11) არტურ ლეისტი წაიკითხავს მოხსენებას ქართულ პოეზიაზე. შემდეგ გაიმართება დეკლამაცია გერმანულად ნათარგმნ ქართულ ლექსებისა.

◆ **უქმეები.** შრომის სამინისტრო აცხადებს, რომ იმ კითხვის გადასაჭრელად, თუ როდის იყვეს უქმეები, ძველი თუ ახალი სტილით, მთავრობის დადგენილებით დაარსებულია საფწყობათაშორისო კომისია ეკლესიის წარმომადგენელთა თანდასწრებით. ამ კომისიის მუშაობის დასრულებამდე—შობამდე წინასწარ ცხადდება შემდეგი უქმე დღეები, როცა არ უნდა იმუშაონ: 1) ღვთისმშობლის დაბადება 21 სექტემბერს (ძვ. სტ. 8 სექტ.); 2) ჯვართამაღლება 27 სექტ. (ძვ. სტ. 14 სექტ.); 3) ტაძრათ მიყვანა 4 დეკემბერს (ძვ. სტ. 21 ნოემბერი); იმ პირებმა და დაწესებულებებმა, რომლებმაც 8 და 14 სექტემბერი ახალი სტილით იუქმეს, უნდა 21 და 27 სექტემბერს იმუშაონ.

◆ **ბოროტმოქმედნი.** მილიციამ არკადის ქუჩაზე № 3 ჯიბლაძის ბინის სახურავში, რომელსაც ბრალდებოდა ყალბი ფულების ბეჭვდა, აღმოაჩინა საბეჭდი მანქანა საღებავებით და ლიტოგრაფიული ქვით.

◆ **შინ საქ. სამინისტროს** განსაკუთრებულმა რაზმმა დესიმონოვის ქუჩაზე რუდაკოვის ბინაზე აღმოაჩინა გადამალული 4,000 არშინი ბრეზენტის მატერია. რაზმის თანამშრომელს მისცეს 10,000 მან. ქრთამის სახით. მან ეს ფული წარმოადგინა შინ. საქ. სამინისტროში. ამავე რაზმმა აღმოაჩინა გადამალული 20 ფუთი „ბოდლოს" საპონი.

◆ განსაკუთრებულმა რაზმმა დააპატიმრა ტფ. ხაზინის მოსამსახურენი და სხვა პირებიც, რომლებთაც ბოროტმოქმედება ჩადენიათ ჩეკებისა და ასიგნოვკების გაცემებაში. გამოძიება სწარმოებს.

◆ **ტყიბულის მაღაროები.** ტყიბულიდან მიღებული ცნობებით მუშათა გაფიცვა მაღაროებში დამთავრდა. მუშები დასთანხმდენ წარდგენილ პირობებზე და დაიწყეს მუშაობა.

◆ **ოხეთში.** ოსთა ყრილობის ცნობით ოსეთის მცხოვრებნი თანახმა არიან იარაღი აიყარონ. იარაღის აყრა ხდება კიდეც. ოსეთში ეხლა სრული სიწყნარე და წესიერებაა.

◆ **მოლაპარაკება.** თფილისში ჩამოვიდნენ ინგუშების, ოსების, ჩეჩენთა ყუბანის ყაზახების წარმომადგენელნი 60 კაცამდე. ყველა მათგანი ცალ ცალკე მოლაპარაკებას მართავენ ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან. ამ დღეებში გერმანიის დელეგაციის წინადადებით, შესდგება მათი შეერთებული სხდომა, სხვადასხვა ხალხთა საერთაშორისო დამოკიდებულების გამოსარკვევათ.

◆ **ოსმალთა მთავრობა** დასთანხმდა ლორისა და ბამბაკის რაიონებიდან გაიყვანოს ჯარები იმ პირობით, თუ სომხის მთავრობას იქ ჯარი არ ეყოლება.

◆ **საერობო არჩევნები.** სურამში საერობო არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 5032 ხმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა—215, ნაციონალ-დემოკრატებმა—127.

◆ **მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით,** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა დაატუსაღონ და სასამართლოს გადასცენ კონდოლისა და კარდანახის სოფლის კომისრები, რომლებმაც ნება არ დართეს ამ რაიონებიდან პურის გატანის და ნაყიდი პური ჩამოართვეს პატრონებს.

◆ **გვარდიელების დაბრუნება.** 19 სექტემბერს დაბრუნდა თფილისში სახალხო გვარდია, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში თავგამოდებით იცავდა ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებს ოსმალთა ასკერებისა და ბრბოებისაგან.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს 3 ხოლერიანი და 4 საეჭვო ავათმყოფნი. საეჭვოდან სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 2. მორჩა და გამოეწერა 2. მოკვდა 8 ავათმყოფი. 19 სექტემბერს საავათმყოფოში იმყოფებოდა 111 ხოლერიანი და 14 საეჭვო ავათმყოფი. სანიტარულ განყოფილებიდან მიღებულ ცნობით ხოლერა გაჩენილა საგარეჯოში, სოფ. კელმენჩურში, სიღ. მაზრა, სადაც ავათ გამხდარა 2 და სოფ. ახ ალ ალექსანდროვკაში, სიღნაღის მაზრა, სადაც ავათ გამხდარა 10, მათ შორის 6 მომკვდარა.

◆ **სახოფლო კომისიამ** დაადგინა მიმართოს თფილისის მუშებს თხოვნით წარმოუდგინონ მოწინავე მუშების სია, რომლებიც მოისურვებენ და შესძლებენ სოფლად ორგანიზაციულ მუშაობას.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარი გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს ყველა იმ პირთ, ან დაწესებულებებს, რომელთაც წიგნებული აქვთ განსვენებული გ. ფ. ზდანევიჩის ბიბლიოთეკიდან წიგნები, დაუბრუნონ უკან ამავე ბიბლიოთეკას, რომელიც ანდერძის თანახმად შეადგენს ხსენებულ საზოგადოების საკუთრებას. დაბრუნებული წიგნები უნდა ჩაბარდეს, ან გაეგზავნოს ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძეს (საზოგადოების რწმუნებულს) ქალ. ქუთაისში, კანტორა „იმერეთის" მისამართით.

◆ **ერობა.** ერობის არჩევნები მთელს საქართველოში, ლეჩხუმის და რაჭის მაზრათა გამოკლებით მიმდინარე თვის ბოლოს დასრულდება. თფილისის მაზრაში არჩევნები დამთავრდა, გარდა ყარაიაზის რაიონისა, ახალ-სენაკში უკვე შესდგა პირველი ყრილობა სამაზრო ერობისა. სენაკის სამაზრო საერობო კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნათიკი ექიმი მაღნარაძე, მისალმების დეპეშა გაუგზავნა კრებამ ეროვნულ საბჭოს და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს. საერობო გამგეობაში არჩეულ იქნენ აკაკი ტიჩხაია, პეტრე ქავთარაძე და ექიმი ცელი. საერობო არჩევნები სურამის რაიონში სოციალ-დემოკრატების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

◆ **მუშათა კლუბში** კვირას, 22 სექტემბერს (მიხეილის ქუჩა № 65) გაიმართება დიდი სეირნობა სადაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის სასარგებლოთ. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

◆ **„ჯეჯილი".** საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" აპრილის ნომერი მიიღო რედაქციამ. ჟურნალი ჩვეულებრივათ სუფთათ და კარგათ არის გამოცემული.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს 7 საათზე მეორე რაიონის ბიუროში შესდგება თფ. ქალთა კომიტეტის კრება.

## გორის საოსტატო სემინარია

გორის საოსტატო სემინარიაში, მისი ნაციონალიზაციის გამო, ამ ენკენისთვიდან თავისუფალია მასწავლებლის ადგილები: ერთი ქართული ენისა, ერთი რუსულისა, ერთი ისტორიის და გეოგრაფიისა, ერთი მათემატიკისა და ერთიც ბუნების მეცნიერებისა.

სემინარია შესდგება ოთხის კლასისგან, არის საშუალო სრულ-უფლებიანი სასწავლებელი და ზემორე ჩამოთვლილ საგნების პროგრამმა იგივეა, რაც გიმნაზიებში. თვითეულ მასწავლებელს ევალება, გარდა თავის საგნის გადაცემისა, სწავლება აგრეთვე ამ საგნების მეთოდიკისა და ხელმძღვანელობა უფროს კლასის მოწაფეთა საპრაქტიკო გაკვეთილების მიცემის დროს სანიმუშო ორკლასიან შკოლაში. სემინარიის მიზანს შეადგენს სახალხო შკოლებისთვის მასწავლებლების მომზადება.

ამნაირად, სემინარიის დანიშნულება განსაკუთრებულია სხვა საშუალო სასწავლებლებთან შედარებით და ამის მიხედვით მის მასწავლებლების მუშაობაც განსხვავებული. აქ მასწავლებლის შემოქმედებას ერთი-ორად მეტი სარბიელი აქვს და ერთი-ორად მეტი ინტერესი. მარტო კარგი სახალხო მასწავლებლის მომზადებით არ განისაზღვრება ნაყოფიერი მოღვაწეობა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისთვის, აქ ფართო ასპარეზია გადაშლილი ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურის შექმნა-აღორძინებისათვის. და ამ მხრივ ახალ-ახალ მეთოდების კვლევა-ძიებაშია ქართულის შკოლისათვის მის განსხვავებულ თვისებების და კვალად საქართველოს სემინარიებმა იგივე როლი უნდა ითამაშონ, რაც გერმანიაში იქაურმა სემინარიებმა, რომლებიც ერთგვარ ლაბორატორიებს წარმოადგენდნენ.

ზემორე აღნიშნულ საგნების სპეციალისტებს, ვისაც საოსტატო სემინარიაში მუშაობის ხალისი აქვს, შეუძლია თავისი სურვილი გორის საოსტატო სემინარიაში ადგილის დაჭერისა განაცხადონ განათლების სამინისტროში ან სემინარიის დირექტორთან.

რაც შეეხება მასწავლებლების ნივთიერად უზრუნველყოფის საკითხს, ამ მხრივ, მართალია, დღე-დღეობით გიმნაზიისა და სემინარიის მასწავლებლების ჯამაგირებს შუა ცოტა განსხვავებაა მაგრამ მალე ეს განსხვავება, როგორც საშუალო სასწავლებლების მთავარ გამგემ გადმოგვცა, მოისპობა, რადგან ეს საკითხი უკვე დასმულია საკანონმდებლო დაწესებულებაში.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, ამ წერილს ადგილი დაუთმონ თავის ფურცლებზე.

კ. არველაძე.

## ლეჩხუმში

I

ლეჩხუმის ვაი ვაგლახის და მწარე ამბების შემდეგ, როგორც იქნა ოსეთის სამხედრო გზა განთავისუფლდა მეამბოხეთაგან და პირველ სექტემბერს რაჭა ლეჩხუმისაკენ გავემგზავრეთ გუბერნიის კომისარი ჩხიკვიშვილი და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე გრ. ურატაძე. თან წავიყვანეთ სამეურნეო სკოლის გამგე ამხ. ალ. შარაშიძე.

დილით, 10 საათზე ჩვენ უკვე ლეჩხუმში ყველა სხვაზე უდიდეს 1500 კომლიან დერჩის საზოგადოებაში ვიყავით. აქ დაბანაკებულია მთავრობის ჯარი პოლკოვნიკ ინწკირველის ხელმძღვანელობით. მთელი საზოგადოების კრება აქ წინეთ გვყავდა მოწვეული, რომელსაც ეგდენი გიგიჭკორი და გუბერნიის კომისარი დაესწრნენ. ეხლა გუბერნიის კომისარს მომხდარ ამბების დალაგებით გაგება, ეხლანდელი მდგომარეობის გათვალისწინება და სამაზრო ადმინისტრაციის შედგენა ჰქონდა აზრათ. რადგან პოლკოვნიკი ინწკირველი საქმეებისა გამო სოფელში წასულიყო, გუბერნიის კომისარმა მორიგე ოფიცრისაგან მიიღო ჯარის შესახებ ცნობები. ამის შემდეგ ჩვენ დავათვალიერეთ სადღესო სამმართველოს და სკოლის შენობები. პირველი იმდენათ არა, ხოლო მეორე ძალზე მანგრეულ მონგრეულია. მეამბოხენი საერთოთ სასწავლებლებს არა სწყალობდენ, სურათები მიხეულ-მოხეული და გაფუჭებულია. ერთი იმათ ლოზუნგთაგანი იყო: ძირს ნასწავლები და ხასწავლებლებიო. და ამის შემდეგ ასეთები აბარა გასაკვირია. მეამბოხეებს ადგილობრივი მომხმარებელი ამხანაგობა გაუძარცვავთ, იქ ახლა არაფერი აღარ არის, მაღაზია უკვე დახურულია.

დერჩის საზოგადოება ყველაზე მეტი უბედურების და საშინელების მოწამე გახდა. თითქმის ის მოძალეობის მსხვერპლები, რომელთა გვამები ქუთაისში ჯგუფ ჯგუფათ დაგვქონდა, ამ საზოგადოებაში დახოცილია. აქვე დახოცეს სამი ადგილობრივი მცხოვრებლები ახვლედიანები, რომლებზედაც მე წინეთ ვწერდი. გვითხრეს ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები ამ მკვლელობის შესახებ. დაჭერილები ერთ ადგილს თურმე მიიყვანეს და უთხრეს: „თქვენ შტაბმა გადაგიწყვიტათ სახლში შიშველი უნდა გაგიშვათო", საბრალოებს ეს თურმე მართალი ეგონათ და სიხარულით თურმე გაიძვრეს ტანისამოსი, რადგან სიცოცხლის შერჩენის იმედი მიეცათ. როგორც კი გზას დაადგენ და წავიდენ, მაშინვე ყველამ ერთად თურმე ესროლეს ეგრეთ წოდებული „ზალპით". ამის შემდეგ ერთს თურმე კისერში ხიშტი ჩაუყარეს, მეორეს—ოფიცერს სახე გაუტყავეს და მესამე—სტუდენტს თავი მოსჭრეს და გადააგდეს სადღაც. როგორც მე უკვე ვწერდი ამ სტუდენტის და მასწავლებელი ქალი კენჭის ყრით ვიღაც გოლეთიანს რგებია. საბრალო ქალი გაგიჟებულა, კიდეც მაგრამ მის ჯალათს მაინც არ გაუშვია და იგი მხოლოდ მთავრობის ჯარმა გაანთავისუფლა.

ყოველივე ის, რაც დერჩის საზოგადოებაში მოხდა ჯერ გამორკვეული არ არის. ეს აუცილებელი საჭიროა, მაგრამ ამას ხელს უშლიან ადგილობრივი გაიძვერები. ამათ ეხლა სასურველი დრო დაუდგათ, მიდიან გლეხებთან, ეუბნებიან აბა მთავრობა გიჭერს, უთუოთ დაგახრჩობენ, ჩემს მეტს შენი შველა არავის არ შეუძლია, მე დაგიხსნიო. ამის გამგონე გლეხი აღარას ზოგავს და ასე იხდიან ქვეყნის უბედურების დროს დღესასწაულს ლეჩხუმის მაწანწალები და ბნელი ძალები. ჩვენი ვალია სასტიკათ შევებრძოლოთ ამ მოვლენას და ღირსეული ადგილი მიუჩინოთ ამ „პარაზიტებს".

დერჩის საზოგადოებიდან ჩვენ ალპანისაკენ წავედით. აქ გზა და გზა ზოგან მაღალი, წვეტიანი კლდეებია, ამათ შუა ვიწრო არხით მოჭრიალავს გიჟური მოთქმა-გრიალით მდინარე რიონი და მის ნაპირს გასდევს ოსეთის სამხედრო გზა. ამ ვიწრო კლდეებით სარგებლობდენ მეამბოხენი, აქ იყო იმათი უმთავრესი საფარი. აი, ნიკორის ძირი, სადაც თებერვალში უკან დაბრუნებულ მთავრობის რაზმს ლეჩხუმლები ქვითა და ლოდით დახვდენ, აი, ღვირიბის ღელე, სადაც მაშინ ხიდეები აყარეს, აი ის სახლებიც, რომლებშიდაც მეამბოხეთა შტაბი იყო. გზაზე თითქმის არავინ შევხვდენია. ჯერ კიდევ შიშს არ გაევლო და მგზავრნი აქ გავლას უფრთხოდენ. მივედით ალპანას. ჩვენთან მოვიდა ახლათ არჩეული საზოგადოების კომისარი ფრუიძე თავისი ახალი მილიციონერებით. იგი ჯარის კაცის ფორმაში იყო, ამის გამოც გუბერნიის კომისარის ყურადღება მიიქცია. პირველ შეკითხვაზე მოყვა: „მეც ვერიე მეამბოხეებში, მეც თოფი მეკავა მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ეხლა ვგრძნობ მაშინდელ შეცდომასო. ცუდი არაფერი მიქნია, ხალხს მეამბოხეთა კონტრიბუციისაგან ვიცავდი და ამიტომ ამირჩიესო". აქვე თავი მოიყარა გლეხების ჯგუფმა. გვიამბეს ბევრი რამ მეამბოხეთა მოქმედებიდან.—„ბევრი წვალება გამოვიარეთ, ბეწვზე მოგვისწრო ჯარმა, თორემ გლახათ იყო ჩვენი საქმეო"—თქვეს გლეხებმა, ორიოდე ბიკიტანმა აქ თებერვალში მყოფ რაზმის შესახებ პროვოკაციის გავრცელება დაიწყეს, ეხლა ეს „ბოლშევიკები" არსად სჩანდენ. ალპანაში მთავრობის რაზმი თებერვალში რამოდენიმე დღე იდგა. აქ პირველათ შემოერტყენ რაზმს მეამბოხენი. აი, ის სახლი, სადაც უსინდისო პროვოკატორებმა სხვათა შორის ლეგენდა დადეს ლეგენდის გაცემა მოითხოვეს; აი, ის „ბალკონი", საიდანაც ოფიცერმა თავის უკანასკნელი სიტყვა თქვა; აი ის გზა, რომელზედაც იგი [illegible] დიოდა...

დავსტოვეთ ალპანა და ცაგერისაკენ გავემართეთ. ორპირის ხიდმა, რომელიც თითქმის დარიალისას ჩამოჰგავს, ცხო მგზავრების ყურადღება მიიქცია. მალე ჭილიშის ღელეზე მივედით. მეამბოხეებს აქაც შტაბი ჰქონდათ. აქ მოლეს მათ ღალატით ლიფან დადეშქელიანი. ენახეთ ადგილი, სადაც იგი მოკლული ღამის განმავლობაში თოფ-ნაკრავით წვალობდა, სადაც იგი უღვთოდ, უმოწყალოთ მკვდარი აწამეს და გაძარცვეს. მივედით ორბელში. ეს დიდი საზოგადოებაა. აქ რადგან უქმე დღე იყო, გლეხობა ბლომათ იყო, დუქნებზე მოეყარათ თავი. ენახეთ მოწინავე გლეხები, რომლებიც ამბოხებას შეძლებისდაგვარად გამკლავებოდნენ. უამბეს კომისარს ყოველივე დაწვრილებით. საზოგადოების კომისრათ აქაც ყოფილი მეამბოხე, სასწავლებელი აქაც კუთ პირობებში იმყოფება. აქ ჩვენთან მოვიდა ერთი გლეხი ოსია აბაშიძე. ვერ მოვიცალით, ყველგან მიგვდევდა. მე მაინც სულ არ მოსცილდა, მეამბოხეებს აბეზღებდა, მოიყვა ლიფან დადეშქელიანის მკვლელების მონაწილენი. ბოლოს გამოირკვა, რომ იგი თებერვალში მთავრობის რაზმის დეზერტირი და ლეჩხუმელ მეამბოხეებს შეერთებული ქუთაისელი მკვლელთა ყოფილა. მე ვიცოდი, რომ მე მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა და მთავრობის ჯარის და ჩემსა და ლიფანის მკვლელთა და მოღალატეობას ამტკიცებდა. წინეთ გვიღალატა ჩვენ, ახლა ახალ ამხანაგებსაც ღალატობდა. გუბერნიის კომისარის ბრძანებით იგი დააპატიმრეს და ცაგერისაკენ წაიყვანეს, გუბერნიის კომისარის მიერ საჭირო ცნობების მიღების და მისამართის დარიგების დატოვების შემდეგ ჩვენ დავტოვეთ ორბელი.

ცაგერში უკვე იცოდენ გუბერნიის კომისარის მისვლა და ამიტომ ხალხი ძლიერ ბევრი დაგვხვდა. ჩვენ მთავრობის სახლში, წინანდელ ჯარის ბინაზე გავჩერდით. მეამბოხენიც აქ თურმე იდგენ. შუშები დამტვრეული, „ნარების" ფიცრები დატაცებულ და კედლები შემოლესტილია. ჩქარა ჯარის უფროსი, პოლკოვნიკი ზაქარიაძე მოვიდა თავისი ოფიცრებით. ხალხმაც აქ მოიყარა თავი. სწორეთ ამ დროს მოიყვანეს მეამბოხეებისაგან ცაგერიდან გატაცებული ათამდე ტყვეები და ერთი მეამბოხეთა მთავარ ხელმძღვანელთაგანი—კენჭაძე. ყოველივე ნაკვთი ამ კენჭაძისა, ყოველივე ნაწილი მისი სხეულისა, სახე და მთელი შესახედაობა უცბად აჩვენებენ, რომ იგი მარჯვე კაცი უნდა იყოს. შესახედაობა გარეგნულად ამას არ უმტკიცებს, მაგრამ ისე ბოროტი არ ყოფილა: ყველა ტყვეები გამოვიდენ და ერთხმად დაადასტურეს: „მაგან გვიპატია, თორემ მოგვკლავდენ, გვეფერებოდა, პაპიროსის ფულსაც გვაძლევდაო". თითონ ტყვეები შემოგლეჯილი იყვნენ მათთვის სავარგისი ტანისამოსი გაეძროთ. ყველანი ფეხშიშველი იყვნენ.

გუბერნიის კომისარმა ხალხს სიტყვით მიმართა და კარგა ხანს ესაუბრა. მან მჭერმეტყველურათ აუწერა გლეხკაცობას რა დაჯდა ლეჩხუმის ამბები ნივთიერათ, რამდენი მსხვერპლი მოყვა ამას და რამდენი პატრონობა უნდა იმ ცოლ-შვილს, რომლებიც დაობლებული დარჩენ. შეპირდა განკითხვას და პატიებას გზა დაბნეულ მეამბოხეებისათვის, მაგრამ სიმკაცრეს კაცის მკვლელების და მძარცველებისათვის. ხალხი მას მდუმარეთ უსმენდა, ზოგი ატირდა კიდეც. ბევრის სახეზე მონანება იხატებოდა, ხოლო ბევრისაზე უაზრო შიში, რომელიც მზათ არის მას დაემორჩილოს, ვინც გაიმარჯვებს. ცაგერი თავისებური კუთხეა აქ ყოველთვის შედარებით მრავლათ იყო ხულიგანური ძალა და ეს დღემდე ასე დარჩენილა. პოლკოვნიკ ზაქარიაძეს, რადგან მათთვის საოცნებო ჩინები აკერია, ამიტომ სერიოზულათ უფიქრიათ მართლა ბატონ-ყმობას აყენებსო და ჩვეულებრივი „დანოსჩიკობა" მოდაში შემოსულა. ამ ვაჟბატონებს დაუჯერებიათ ერთი ძველი მილიციონერი ახვლედიანი, ყოვლათ ცრუ ცნობების მიცემით. „პატივცემული" დავით კობალიანი არ გამოჩენილა, არსად გვინახავს არც მეორე ცაგერის მკლავაძე და ხშირი სტუმარი ცაგერისა ნასტრაჟნიკალი ჩიჩუა.

ძვირფასი შენობა ცაგერის სასწავლებლისა განადგურებულია. შუშები დამტვრეული, სურათები დაგლეჯილი და ოთახები ნაგავით ავსებულია. მეამბოხეთა „შტაბისაგან" დასმული დაღი კარგა ხანს გაჰყვება ამ სასწავლებელს.

რ. ყიფიანი.

# ...ვენი არსენი

...ელმა სიკვდილმა ხელიდან გა-...ა ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი ...ული სინდისი არსენ მამულაი-...ლალიონი).

...ული რწმენის სიმტკიცე პარ...თიული წევრისათვის უდიდესი ...ა. ეს სიმტკიცე არსენში უაღრე-... განმტკიცებული. არავითარი ...ისი, არავითარი დათმობა მას ...რდა. საზოგადოებრივ თუ კერძო ...აში შეურყევლად ადგა სწორ ...

...ნებულს მტკიცეთ ჰქონდა ში-...ლი პარტიული შეხედულება ...ი იყო მასში გამჯდარი პარტიუ-...ო და არ ყოფილა არც ერთი ..., რომ მას კერძო ლაპარაკში ც ... დროს სისწორით არ დაეცვა. ... უწყინარი და მშვიდი ადამიანი, ...ბელი და მოურიდებელი იყო ... საკითხების დაცვის საქმეში! ... საკითხს იგი მუდამ სერიოზუ-...ცეოდა და თავის პოლიტიკურ ...ველ შავბნელ ხანაში აშკარათ ...და.

...რეკელი დამცველი იყო იგი თა-...ლიტიკური რწმენის, როგორც ...ოწინააღმდეგეებთან, ისე თვით თავის



ამხანაგ მეგობრებში. პარტიული რწმენა-შეხედულება და მისი ყველგან და ყო-ველთვის დაცვა-განმტკიცება მთავარ საზრუნველ საქმეს შეადგენდა მისთვის.

დიახ, პარტიამ დაჰკარგა პარტიის სი-ნიდისის საუკეთესო დარაჯი და მისი გულწრფელი გულშემატკივარი!

ეს ისეთი დანაკლისია, რომელსაც ღრმა გულის ტკივილით აღნიშნავს პარტიის ყოველი წევრი და მისი სინდისის აჩრ-დილის წინაშე მუხლს მოიდრეკს.

მშვიდობით სპეტაკო ადამიანო!

## არ არის მკვდარი!

(ლალიონის ხსოვნას)

ჩუმი მუშაკი, ნამდვილ საქმით გატაცებული,
დიდ მოამაგე ქართველ ხალხის, მისი კულტურის;
მოკვდა... აღარ გვყავს!.. დაგვიკოდა უდროოთ გული,
მშრომელთ ბანაკში გლოვა ისმის—ბევრი ჰკვნესს, სტირის...

მწერლობას ბურჯი, დასელებს კი, მკვიდრ მეგობარი,
გამოეცალათ... აწ არ ისმის ხმა ლალიონის;
ყველგან მწუხრია, ჭმუნვარება გულის საზარი, —
ცრემლებს აფრქვევენ ტვირთ მძიმენი კავკასიონის...

მაგრამ, თვით ღვაწლი, დიად აზრი, სწორი მიზანი,
მარად იქნება მშრომელთათვის დაუვიწყარი;
მისი ნაშრომი იჩირაღდნებს, ვით სხივოსანი
და, ამის გამო, ლალიონი არ არის მკვდარი!..

ალ. გერასიმიძე.

## გუშინ აქ იყო...

(ა. მამულაიშვილის ხსოვნას)

გუშინ აქ იყო ჩვენთან, ჩვენს წრეში,
მუშათა სვე-ბედს დაჰკვითინებდა...
სულ ტრიალებდა ამხანაგ ძმებში,
მსოფლიო საქმე დააფიქრებდა.

ჩუმი, სპეტაკი მუშაკი წყნარი,
რწმენით აღსავსე იმედიანი,
დღეს, დღეს აგერ გვყავს მდუმარე, მკვდარი,
ჩვენც მას დავსცქერით მწარ ნაღვლიანი.

ვაი სიკვდილო! არსენ წაგვართვი,
ნუ თუ მოგვტაცებ იმის რწმენასა!?
და შენც, ბოროტო, სოფელო მარქვი
დიდხანს თუ ლამობ ჩვენზე ლხენასა!?

არა, ეს ლეში შენ გეკუთვნოდეს,
ჩვენ ხომ სპეტაკი რწმენა დაგვრჩება...
ძველებრ მტარვალი ჩვენს წინა კრთოდეს,
წითელი დროშა კვლავ გაიშლება,
და არსენისა იდეალები
აქა, ამ ქვეყნათ გაიფურჩქნება.

გუშინ აქ იყო, დღეს აღარ არი...
ნუ თუ არსენი მკვდარია, მკვდარი!?

მგლოვიარეა დღეს მუშათ კერა,—
მებრძოლის შესწყდა დღეს გულის ძგერა!

20 ენკ. 1918 წ. ქ თფ. — დ. მეჩონგურე.

## თანამედროვე მებრძოლი ბელეტრისტი

(ლალიონი)

„შენი საფლავი ხალხის გულია".
ბერან.

...შრომელ ხალხს თითზე ჩამოსათვლე-... მწერლები ყავდა და ყავს. მუშათა ...ასის მოსარჩლე, მისი მესაიდუმლე, ...რძოლი მხატვარ პუბლიცისტ-პოეტე-... მუდმივ გაჭირვებას განიცდიდენ ჩვენ-... და ამის გამო უდროოთ ვეთხოვებით ...

...ს ჩვენი ქვეყნის სისუსტით აიხსნება. ...ლიტერატურა, რომელიც ჩვენ მო-...პოვება, გარდა ზოგიერთ მწერლები-... გაბნეულია ჟურნალ-გაზეთებში და ...ნამედროვე მკითხველი მას სრულიად ...შორებულია.

...არ იცნობს თავის მწერლებს და ამ ...ვლენას ხელს უწყობს ის გარემოება, ...ომ ჩვენში ლიტერატურის განხილვა და ...ნსაკუთრებით მხატვრულის კრიტიკა ...ვიწყებულია.

...ყოველივე ეპოქა ხასიათდება პოლი-...იკურ სოციალური მოძრაობით, ცვლი-...ებებით, გადატრიალებით.

...გამუდმებულია ბრძოლა საზოგადოებ-...ივ-კლასობრივი. ამ საზოგადოებრივ ...მის მეთვალყურეა, მისი განვითარების ...მნიშვნელია მწერლობა.

მწერლები მთელ მოძრაობის ფაქტო-რებს გამოხატავენ, მის წარმატობის და დაცემითი ტრიალს აღნიშნავენ, და მქნიან ხალხის გმირულ გატაცების და სულიერ ტრაგედიის ნამდვილ სანახაო-ბას.

პუბლიცისტიკა გამოხატავს დღიურ ბრძოლას, მებრძოლთა მონაწილეობას მიმდინარე ამბებში, პოეზია და ბელე-ტრისტიკა კი ბრძოლის ისტორიულ ხა-ნებს აღნიშნავს, ხალხის ცხოვრების ნამ-დვილ სურათებს გვიხატავს...

ჩვენ გვყავდა სულით მაღალი, ძლიე-რი ბუნების მწერლები, მაგრამ მათი ხვედრი ტრაგიკული გახლდათ და ვერ მოასწრეს იმისი თქმა სრულად, რაც უკარნახა მათ ტანჯულ ხალხის სიყვა-რულმა.

ხან მოკლე იყო სიცოცხლე ხალხის გულის მესაიდუმლის ნინოშვილისა, წა-მებული იყო და უბედური მოგზაურობა ჭოლასი, (ჭ. მცირიშვილისა), მაგრამ ამ მშრომელ ხალხის ახალ-გაზრდა მწერ-ლებმა მაინც თავისი წვლილი შეიტანეს ჩვენს ლიტერატურაში...

დღეს კი მშრომელმა ხალხმა კიდევ უდროვოთ დავკარგეთ თანამედროვე მებრძოლი ბელეტრისტი ლალიონი.

შეიძლება ბევრს ეს სახელი არ გაუ-გონია, შეიძლება მისი მოთხრობები, ეს-კიზები, ეტიუდებიც არც წაუკითხავს, რადგანც გაბნეულია ჟურნალ-გაზეთებ-ში, მაგრამ ბევრმა მაინც იცის, ბევრი

მაინც დალონდება, რომ მშრომელი ხალ-ხი გამოეთხოვა თავის მეორე ნინოშვილს და ჩვენს მხატვრულ ლიტერატურას გა-მოაკლდა თვალსაჩინო წევრი.

ლალიონი მუდმივ ჩუმი, მოსიყვა-რულე, სათნოიანი, სპეტაკი ადამიანი იყო ცხოვრებაში.

ლალიონი შეუდრეკელი, მღელვარი, ჭეშმარიტების მქადაგებელი, გაუჩირე-ბელი მებრძოლი იყო მწერლობაში—ბელეტრისტიკაში.

ძნელია დღეს ამ ადამიანის შესწავ-ლა, ძნელია მისი გაგება, ეს მომავალს ეკუთვნის, რო კა ცხოვრების პირობები თავის ადგილს მიუჩენს ნიჭიერ ბელეტ-რისტს. ვისაც მისი ნაწერები გადაუ-კითხავს, იმისთვის ცხადია, თუ ვინ იყო ლალიონი. მას ესმის ხელჩართული ბრძო-ლა ბოროტებასთან და მისი სიმღერა მომავლისა. მას ესმის იმედიანი ხმა ოპ-ტიმიზმით გაჟღენთილი ბელეტრისტისა.

კითხულობ მის ნაწერებს, ხან ცრემ-ლები მოგადგება, ხან სიხარული, ხან გმირული აღფრთოვნება, ხან მწარე ფიქ-რებს ეძლევი...

იგი ჩვენი ცხოვრების სარკეა. მისი ნაწარმოების აზროვნება სადა რეალის-ტურია...

იგი ჩვენს წინ შლის ცხოვრების შავი სიღრმიდან მწვავე სინამდვილეს. ახლო წარსულის სოციალურ ჭრილობებს.

მისი მსოფლმხედველობა პოზიტიურათ დალაგებულია, დემოკრატიულია...

მებრძოლ ბელეტრისტის ცხოვრებაში თავისებურ ცვლილებას ახდენს 1906 წლის პოლიტიკური ცვლილება *).

ის ხედავს, რომ დროებით ამოსულ თავისუფლების სხივებს შავბნელი ზეწა-რი გადაეფარა. უსამართლობამ ისევ თა-ვისი ფესვები გაიდგა, ტანჯული ხალხი ისევ დაილევრიმა. ისევ გამეფდა ძარცვა-გლეჯა, ხალხის დამცირება, საერთო უკულმართობა, ბატონთა თარეში და იბრძვის ამის წინააღმდეგ ბელეტრისტი.

„ბეჟუკას ხვედრში" *) მწერალი თვალ-წინ გვიშლის რეაქციის მიერ სოფლის მემამულის სიკო ძუძგურაძის, რომელიც გამხეცებული უყვირის ბეჟუკას:

— „როგორ ბედავ, რა იფიქრე ყაძა-ხო... იგი დრო შეგრჩებოდა გეგონა"!..

შემკრთალი, დამარცხებული ბეჟუკა რომელსაც ხარები წაართვა სიკომ გაი-ძახის:

— „ქვეყანაზე სად არის სამართალი, ან რამე... რეიზა უნდა მოისპოს ჩემდა ყველაფერი, რა დავაშავე, რაი?.."

სიკო ძუძგურაძე, რეაქციის ღვიძლი შვილია, გამარჯვებას დღესასწაულობს, შურს ძიობს, კლავს ბედკრულ ბეჟუკას და მწერალი ასე ათავებს მოთხრობას:

„მთვარემ კვლავ გააშუქა მიდამო, და-ხედა ბეჟუკას გასისხლიანებულ გვამს და, თითქო შეძრწუნდა ადამიანის უსაზღვ-რო ბოროტებით, მოიღუშა, ისევ ღრუ-ბელს ამოეფარა".

აი, იმ დროის საშინელი ეპიზოდები, რომელიც აღშფოთებს მწერალს, გულს უკლავს და სწერს „მთვარე ღრუბელს ამოეფარაო".

ხანგრძლივმა შავ ბნელმა დღეებმა, სა-ზოგადოებრივმა გარინდებამ და ამავე დროს იმ უსამართლობამ, რომელიც გა-მეფებული იყო ჩვენს ცხოვრებაში, მწე-რალზე თვისებური შთაბეჭდილება დას-ტოვა და იძახის:

„ქვეყანაზე სად არის სამართალი". 1906 წელს მის „შემთხვევაში" აი რას ვკითხულობთ. *)

—„მიიხედ მოიხედე გარშემო... ახლა ყველას ეზიზღება მონური ყოფა... შეიგ-ნეს ადამიანური უფლება, მედგრათ ებრძვიან მჩაგვრელებს უკეთეს მომავა-ლისათვის და დღეს თუ ხვალ კიდეც მიაღწევენ მიზანს... თქვენ კი"...

ასე ეუბნება იგი იმ მუშას, რომელ-საც ვერ ხედავს თავის სიმაღლეზე. „მი-მოიხედე გარშემო ჩვენს მიზანს მივაღ-წევთ" და „თქვენ კი"...

მწერალს არ სწამს უნუგეშობა, სულ-მდაბალი მუშა. მისი საქმე ბრძოლაა და ასე ამთავრებს თავის „შემთხვევას", „ისმის გრგვინვა, იწყება გადამწყვეტი ბრძოლა... აქ ილეწება მონობის ბორ-კილი, იმსხვრევა საზიზღარი კერპები: თავისუფლების გრიგალი დაუბრკოლებ-ლივ შეიჭრება ბრწყინვალეთ მორთულ სასახლეებში, ამ გარყვნილების ბუნაგში და ადამიანობამდე აამაღლებს იმ ჩაგრულ-დამცირებულთ, ვინც აქამდე ურიგდე-ბოდა პირუტყვულ ყოფას... ქუჩა ქუხს, გრიალებს"...

ეს მისი მრწამსია. „მონობის ბორ-კილთა დალეწვა, საზიზღარ კერპებთა დამსხვრევა". იგი თავისი არსებით რე-ვოლიუციონერია. მებრძოლია...

„ქუჩის ხმაურობა" ესმის „თავისუფ-ლების გრიგალი" ასულდგმულებს.

დემოკრატიულ იდეების მატარებელი მწერლები, იქ სადაც არსებულ ურთი-ერთობიდან გვაძლევენ მხატვრულ ნა-წარმოებს, შიგ ატარებენ დემოკრატიის მისწრაფებას და არას დროს არ ემორ-ჩილ ბიან ცხოვრების ცვალებადობას. მათ ხაზი მუდმივ მომავლისაკენ მიდის. მათი იდეალი თავისუფლების გამარჯ-ვებაა.

რეაქციის ხანაში ბურჟუაზიულ მწერ-ლობაში იწყება ლიტერატურული გახრწ-ნა. პოლიტიკურ მოძრაობის ზურგის შექ-ცევა, ინტელიგენციის ვაკხანალია და ჩვენ ვიცით ამ მხრით, თუ რუსეთში სა-ნამდი მივიდა რეაქციის დროს ბურჟუა-ზიული ხელოვნება. მუშათა კლასის მწერლებში ცხოვრების გადატრიალება ვერ ახდენს ასეთ ცვლილებას და ისინი რჩებიან სად რეალისტებათ.

ლალიონი იმ განსაცდელის დროს, როდესაც რუსეთმა განიცადა ლიტერა-ტურაში კრიზისი, ხელოვნებაში მოდათ იქცა მოდერნიზმი, ეროტიზმი, სანინიზ-მი თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმაღლეს წერტილს მიაღწია პოლიტი-კურ ფსიხოლოგიურმა რეაქციამ, ჩვენ გვეუბნება თინას პირით:

„ცხოვრებით კმაყოფილი, პირადის კეთილდღეობით განებივრებული, მუდამ წინააღმდეგი იქნება იმისი, რომ დაჩაგ-რული ადამიანი წელში გაიმართოს და ყველაფერში მას გაუთანასწორდეს. ხალ-ხი თვით უპატრონებს თავის საქმეებს: იგი აუცილებლად უნდა შეეჩვიოს თვით-მოქმედებას, რომ თითონვე განაგოს თა-ვის ბედი"**).

ამ თვითმოქმედებით იგი გულისხმობს:

„მე მწამს მშრომელი ხალხის ძალა: ადრე თუ გვიან იგი თვით წარმოშობს გმირებს, ნამდვილ უანგარო მოღვაწეთ, ვინც წმინდის გულით და წრფელის გან-ზრახვით თავდადებულ სამსახურს გაუ-წევს ჩაგრულთა საქმეს".

აი, თინას სიტყვები. ასე, იმ დროს, იმ სიბნელით მოცულ ხანაშიც ლალიონი იმავე ნარ ეკლიან გზით მიდის და სწამს „მშრომელთა ძალა".

ლალიონმა თავის მოთხრობაში („თინა") გაატარა ის ორი მოვლენა, რომელსაც ადგილი ქონდა რუსეთისა და ჩვენს ცხოვრებაში. ერთი მხრით ილია და მა-თი ამყოლი, მეორე მხრით ბიქტორი თავისი წრით ეს ორი ქვეყანა, ორი მიმდინარეობა; ერთის მხრით გამარჯვე-ბულთა ლხინი, ქეიფი—გარყვნილება. მეორეს მხრით შრომა და მომავლისათ-ვის ღვაწლი.

ერთი მხრით გაცვლა, ღალატი. ჯაშუ-შობა და მეორეს მხრით დევნა და სი-კვდილი.

ლალიონს ეჯავრება იუდა, მოღალატე: „საზარელი ჯაშუში! იგი არასოდეს არ ყოფილა თანაგრძნობის ღირსი" „ზიზღით გაიფიქრა თინამ".

ლალიონის მოთხრობებში გამოიხატე-ბა მისი დიადი სულისკვეთება ბრძო-ლის ჟინით გატაცებული...

შიგ დახასიათებული მომენტები ჩვენ გვაცნობებს მის ძლიერ ბუნებას.

იგი მუშათა კლასის იყო, დემოკრა-ტიის გაჭირვებას, მის ცხოვრებას იც-ნობდა. მის წრიდან გამოვიდა, მის სამ-სახურს შეალია თავისი დღენი.

მან ბევრი მოვლენები აღნიშნა ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან და ამის მოსასპობათ სწამდა ბრძოლა და ვინც მას გაიცნობს, ის გარკვეულ პასუხს მი-იღებს თუ როგორ მოიქცეს.

გადაიკითხეთ მისი ნაწერები და დარ-წმუნდებით. მისი მოთხრობები ჩვენი ხელოვნებაა, ჩვენი ლიტერატურაა და იგი მოგვშორდა ადრე. მას კიდევ მეტი ნაყოფის დატოვება შეეძლო, მაგრამ ასე ინება ცხოვრების უკულმართმა დაუნ-დობლობამ.

პარტიამ დაჰკარგა ერთი სპეტაკი, გულწრფელი ამხანაგი. ლიტერატურას გამოაკლდა ერთგული ნიჭიერი თანამ-შრომელი.

ის გამოგვეცალა ხელიდან მაგრამ სა-ნამ იარსებებს ჩვენი ერი და ლიტერა-ტურა, იგი უკვდავი იქნება და „მისი საფლავი კი ხალხის გული"..

თფილისი. — ანანია.

*) მე სრულიად არ მინდა შევეხო მის ძველ ნაწერებს მაგ „ფერადი დავლაძე" და სხვას, რადგანაც ეს კრიტიკოსის საქმეა. მე მინდა აქ აღვნიშნო რეაქციის შემდეგ მის ნაწერებიდან ზოგიერთები. ა. ხ.

*) „ბეჟუკას ხვედრი", იხ. ჟურნალი „სხივი" № 1, 2, 5. 1909 წ.

*) იხ. „ტალღა" № 1, 30 ივლისი.

**) იხ მოთ. „თინა" „ახ. ქვეყანა" № 22, 23, 24, 26, 27, 28. 1913 წ.

## სამგლოვიარო წერილები.

თფილისის გუბერნიის სახალხო სკო-ლების მასწავლებელთა კავშირის მთავა-რი გამგეობა თავის ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს არსენ მამულაიშვილის უდ-როვოდ გარდაცვალების გამო. არსენში კავშირმა დაჰკარგა ერთი საუკეთესო მუშაკი, პატიოსანი და დემოკრატიისა-თვის თავდადებული ადამიანი, ხოლო ქართველმა ერმა ცნობილი ბელეტრისტი, ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველი.

კავშირის თავმჯდომარე

ვ. ბურჯანაძე.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქცია ძაძით იმოსება—ჩვენი უებრო მხატვარ ხელოვანი მწერლის ლალიო-ნის—არსენ მამულაიშვილის უდროოთ გარდაცვალების გამო. ჩვენმა სამხატვრო მწერლობამ დაჰკარგა ერთი იმ მწერალ-თაგანი, რომელიც ხალხის გულში ღრმად იხედებოდა და რომელსაც თავისი უკა-ნასკნელი სიტყვა ჯერ არ ეთქვა. ხსოვნა მისი სამარადისო იქნება. გათვითცნო-ბიერებული ქართველი ხალხი მუდამ მადლობით მოიხსენიებს „ფერადი დავ-ლაძის" შემქმნელს.

იოსებ იმედაშვილი.

დეპეშები

მასწავლებლობა ოზურგეთის და ჩო-ხატაურის ფილიალების ღრმა მწუხარე-ბას გამოსთქვამს უბადლო მასწავლებ-ლის, დაუღალავი პოლიტიკური მოღვა-წის და ბელეტრისტის არსენ მამულაი-შვილის გარდაცვალების გამო. მისი სა-ზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა საუკე-თესო ძეგლია, აღმართული მასწავლებ-ლობის გულში.

ოზურგეთის ფილ. თავმჯდ. თოთიბაძე, ჩოხატაურის—ცინცაძე.

ხურამის ორგანიზაცია სოციალ-დე-მოკრატიული პარტიისა ღრმა მწუხარე-ბას განიცდის ამხანაგ არსენ მამულაი-შვილის უდროვოთ გარდაცვალების გამო.

## ჯარის-კაცთა წერილები

ჩვენი მთავრობა შეუდგა ძლიერი ჯა-რის შექმნას. ყოველ დღე მოდიან 200—300 ჯარისკაცები და ეგზავნებიან სხვადასხვა ნაწილებში. ახალ მოსულ ჯა-რისკაცთა სულიერი განწყობილება მშვე-ნიერია. ყველა მეცადინეობაზე გამო-დიან და თავის მოვალეობას პირნათ-ლად ასრულებენ. ბევრი მათგანი ძველი ჯარისკაცებია. ჩანს, ამ უკანასკნელთა შორის პროვოკაციას და მომწამვლელ აგიტაციას ნიადაგი დაუკარგავს და ისი-ნიც გრძნობენ, რომ მხოლოდ ჯარს,—დისციპლინით აღჭურვილს, შეუძლია ქვეყნის და რევოლიუციის დაცვა. მხო-ლოდ ჯარის ნაწილების უფროსებს და ხელმძღვანელებს მართებთ გამოიჩინონ მეტი ენერგია ჯარის კარგ ნიადაგზე დაყენებაში. ისინი უნდა დაუახლოვდნენ ჯარის კაცებს, გაიცნონ მათი მდგომა-რეობა, ხშირათ გამართონ მათთან საუ-ბარი დღევანდელ მომენტზე. ზოგი ჯა-რისკაცი არ არის გარკვეული—როგო-რია ჩვენი მთავრობა და მისი პოლი-ტიკა და სხვა. ყველა ეს საჭიროა გან-მარტებული იქნას ოფიცრების და ხელ-მძღვანელების მიერ. სამწუხაროდ, ზო-გი აფიცრები ჯარისკაცებს ძველი რე-ჟიმის დროის დადგომაზე მიუთითებენ, რაიც ხშირათ შიშს ბადებს მათში.

ახალ ჩამოსულ ჯარისკაცებთა უმ-რავლესობა თითქმის ნახევრად შიშველ-ტიტველნი არიან. მათ ჯარის ნაწილებ-ში რაც მოიპოვება, იმით მოსავენ. თა-ნაც საჩქაროდ ამზადებენ ახალ ტანსა-მოსებს და თანდათანობით ურიგებენ.

ტანისამოსის და სხვა სახელმწიფო ქონების შენახვა ჯარის ნაწილებში არ არის კარგათ დაყენებული. თითქმის ყვე-ლა ნაწილებში დიდძალი სახელმწიფო ქონება მოიპოვებოდა, როგორც ჯარის შესამოსი, ისე სხვა და რომ თავის დრო-ზე მიქცეოდა ამ ქონების მოვლას ყუ-რადღება, ეხლა მეტი დაგვრჩებოდა და ნაკლები ხარჯი დაგვჭირდებოდა. ყო-ველგან უწესრიგობა და დაუდევრობაა —თვითეული საწყობის გამგე ავტონო-მიურად განაგებს სახელმწიფო ქონების საქმეს. არავითარ კანტროლს არავინ არ უწევს. უკანასკნელნი როგორც მოესურ-ვება, ისე იქცევა. ზოგს ყიდის და ზოგს აჩუქებს. თავის ნაცნობ მეგობრებს ჯა-რისკაცებს სამი ოთხი წყვილს აძლევს თვითეულს და ზოგი კი ერთსაც ვერ ღებულობს. ბევრს ადგილას ჯარისკა-ცებმა ნაწილების უფროსებს მიმართეს და ასეთი ბოროტმოქმედი პირი გა-დააყენეს, მაგრამ ახლად დაყენებულიც, დარწმუნებული, რომ მას არავინ კანტ-როლს არ გაუკეთებს, იმასვე იმეორებს.

საჭიროა ამას სასტიკი ყურადღება მიექცეს. უნდა იქნეს ყოველ ნაწილებში ამორჩეული კომისია, რომელიც ყოველ თვეში, თუ უფრო ხშირათ არა, კანტ-როლს გაუკეთებს ყველა საწყობების გამგეებს. ამით შეიძლება, თუ მთლათ არა, საგრძნობლად მაინც შემცირდეს ის ბოროტმოქმედება, რომელიც ბევრ ჯარის ნაწილებშია გამეფებული.

ლადიკო ჭანტურაია.

## ს.-დემ. პარტიაში

გორი.. 12 სექტემბერს შესდგა გო-რის მაზრის სოც. დემ. მუშ. პარ. ცენტ-რალური კომიტეტის კრება, განსახილ-ველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხ-სენება ადგილებიდან, 2) ქ. გორის საე-რობო არჩევნები და მისი შედეგი, 3) ახალქალაქის რაიონში ამხანაგებთა შო-რის მომხდარ უთანხმოების გამორკვევა, 4) მევლეობები და ჩვენი დამოკიდებუ-ლება, 5) მამულების ჩამომრთმევი კომი-სიების მოქმედება მაზრაში, 6) განცხა-დებები და მიმდინარე საკითხები. ქვიშ-ხეთის, ზღუდერის, გომის და ხაშურის რაიონებიდან მოხსენების შემდეგ ირკვე-ვა, რომ პარტიული ორგანიზაციები სოფლათ ეწყობა, წევრების რეგისტრა-ცია ხდება, ზოგან კიდეც შეუქმნიათ ორგანიზაციები და აურჩევიათ ხელმძღვა-ნელები, ჟურნალ-გაზეთები სოფლად ვრცელდება, ეწყობა ლიტერატურის გამავრცელებელი ბიურო (გომის რაიონ-ში სად. გომში) და სხვა.

მიწის შესახებ თითქმის მთელ მაზრაში გლეხები მიწას შეითხოვენ კერძო საკუთრებათ და საფულის გამოღება-ზედ თანხმდებიან, ხოლო რაც შეიძლე-ბა მცირე ფასებში, აგრეთვე თხოულო-ბენ დააჩქაროს მთავრობამ მიწის რე-ფორმების ცხოვრებაში გატარება.

საერობო არჩევნები ზოგ რაიონში უკ-ვე მოხდა, მაგალითად გომის და ქარე-ლის რაიონებში დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა სიას № 1, განსაკუთრებით ზღუდრის საზოგადოებაში (ოსებია) არც ერთი სხვა პარტიისთვის ხმა არ მიუ-ციათ, გარდა სოც.-დემოკრატიისა.

ყველა პროპაგანდისტები ხასგასმით აღნიშნავენ იმას, რომ სოფლათ საჭიროა ენერგიული მუშაობა, როგორც ორგანი-ზაციების მოსაწყობათ ისე ახსნა განმარ-ტებისათვის, რაიც ხელს შეუწყობს ხალ-ხის გამოფხიზლებას და ბოლო მოეღება ანარქიას და ყოველნაირ გამოსვლებს.

მაზრაში დიდი გავლენა აქვს სოც.-დემ. პარტიას, სხვა პარტიები თითქმის არ არსებობენ თუ არ მივიღებთ მხედ-ველობაში სოფ. ალს (გომის რაიონია), სადაც მოიპოვებიან უმნიშვნელო რიც-ხვი სოც. ფედერალისტების.

თვით ხაშურის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იმნაიშვილი და ირკვევა, რომ პარტიული ორგანიზაციის მხრივ ხაშური შეადგენს ერთ ბედნიერ გამო-ნაკლის ჩვენს პარტიაში.

ორგანიზაციის გაცხრილვის შემდეგ პარტიაში ირიცხება 800 წევრზე მეტი. საწევრო გადასახადს წესიერად იხდიან და სხვა.

ქ. გორის საერობო არჩევნებში ერთ-ნაირი დამარცხება მოხსენებელ ამხ. კანწურაშვილის აზრით გამოიწვია იმან, რომ ხალხში საზოგადოთ მეფობს ინდი-ფერენტიზმი, რომელსაც ხელი შეუწყო გორში მომუშავე ამხანაგების (არჩევნე-ბის დღეს) სოფლად გაფანტვამ და სხვა-დასხვა დაწესებულებებში მუშაობამ. ირ-კვევა აგრეთვე ის, რომ გორელ ამხანა-გებს თითქმის თავი გაუნებებიათ პარ-ტიულ მუშაობისათვის.

ქ. გორის პირველ რაიონის კოლექ-ტივიდან ცენტრის კრებაზე იქმნა წარ-მოდგენილი დასამტკიცებლათ გეგმა, ამხ. მარიამიძის შემუშავებული, გორში ორ-განიზაციების ტეხნიკურ მოსაწყობათ. კრებამ გეგმა თუმცა მოიწონა, მაგრამ ვერ დაამტკიცა, ვინაიდან ბევრ ხარჯს, ძალას, დროს და ამხანაგებს მოითხოვდა. ცენტრალური კომიტეტის მიერ იქმნა მიღებული გეგმა, წამოყენებული ამხ. ვ. ცაბაძის მიერ: ქალ. გორი უნდა გაიყოს სამ უბნათ: ვაგზლის შუა და გარეთ უბ-ნებათ, უნდა მოხდეს ყველა უბნებში ცალ-ცალკე პარტიულ წევრთა რეგი-სტრაცია, ამორჩეულ უნდა იქნას ყო-ველ უბანში პასუხისმგებელი ორგანიზა-ტორი, სამივე უბნიდან არჩეულ იქნას საორგანიზაციო კომისია, რომელმაც უნდა მოახდინოს არსებულ კოლექტივე-ბის რეორგანიზაცია და მოაწყოს ერთი სავალდებულო ცენტრალური გორის კო-მიტეტი; თითოეულ უბანს წევრთა პრო-პორციის და გვარათ ეყოლება წარმო-მადგენელი მთავარ კომიტეტში. ამ საქ-მის მოსაწყობათ ცენტრალურმა კომი-ტეტმა აირჩია კომისია, რომელშიაც შე-ვიდენ ამხანაგები: გ. მინაზაროვი, მ. მა-რიამიძე, მ. კაპანაძე, კ. ცერცვაძე და დობორჯგინიძე.

ახალ ქალაქის რაიონში მომხდარ უთანხმოების შესახებ მოხსენება გააკე-თა საგამომძიებლო კომისიამ; მოხსენე-ბის და დაინტერესებულ პირების ახსნა-განმარტების შემდეგ ცენტრალური კო-მიტეტის კრებამ დაადგინა: ა) პარტიუ-ლი ცენტრი იღებს რა მხედველობაში საქმის ინტერესებს, რაიონის, პარტიის და ამხანაგების სასარგებლოთ ეთხოვოს სამაზრო ადმინისტრაციას, რომ ახალ-ქალაქის რაიონის კომისარი ამხ. მ. ლაშ-ქარაშვილი იქნას გადაყვანილი სხვა რა-იონში, ბ) იმავე ადმინისტრ. საშუალებით, ზემოხსენებულ თვალსაზრისით, ახალ-ქალაქის საზოგადოების კომისარი ვ. ზარიძე გადაყენებულ იქნას თავის თა-ნამდებობიდან, გ) ამასთანავე ცენტრა-ლური კომიტეტი ადგენს, რომ ამხანაგ იოსებ მჭედლიშვილს და ან. კაპანაძი-სას, თანახმად გამოძიებისა პარტიის და მთავრობის წინააღმდეგ არავითარი და-ნაშაული არ მიუძღვით და ბრალდება მოხსნილ იქნას, გ) ცენტრალურმა კო-მიტეტმა დაადგინა ვანო ონოფრეშვილი, მის მიერ კომისრობის დროს ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულობის გამო, გამო-რიცხულ იქნას პარტიიდან.

მამულების ჩამომრთმევი კომისიის შე-სახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბაბლიძე და ირკვევა, რომ კომისიები თითქმის არ მუშაობენ, მაგალითად სოფ. ბრეთ-ში არის კომისია უკვე ორი თვეა და ამ ხნის განმავლობაში არ ექნებათ ნა-მუშავარი ერთი დღეც, გლეხობა კი მოითხოვს მიწის რეფორმის საჩქაროთ ცხოვრებაში გატარებას. კომისიის წევ-რები სარგებლობენ თავიანთი მდგომა-რეობით და გარდა იმისა, რომ ჯამა-

გირებს მუქთათ ღებულობენ, ხელს უწყობენ თავიანთი უმოქმედობით ანარქიას და ყოველგვარ გამოსვლებს. ცენტრალური კომიტეტის კრებამ ზემოხსენებულის შესახებ დაადგინა: მიეცეს წინადადება სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტს გაუკეთონ შესაფერი კანტროლი აღნიშნულ კომისიებს და აამოძრავონ ისინი, და თუმცა არც ამან გასჭრას; ეცნობოს სამიწათ-მომქმედო სამინისტროს.

საერობო არჩევნები მეჯვრისხევ-ქვემოჭალის და ახალ ქალაქის რაიონებში მოხდება 29 ენკენისთვეს.

ვალიკო.

## პროვინცია

**ლეჩხუმ-ოდიშის საზოგადოება** (სამეგრელო). ეს საზოგადოება ერთ უდიდეს საზოგადოებას წარმოადგენს მცხოვრებთა რიცხვით სენაკის მაზრაში. კულტურული დაწესებულებებით, როგორიცაა მომხმარებელი სავაჭრო, სამკითხველო და წვრილი კრედიტის ამხანაგობა მდიდარია. სკოლების მხრით სიღარიბეს განიცდის და ამით საზოგადოებაც ჩამორჩენილ კუთხედ ითვლება.

წელს, როგორც საზოგადოთ სამეგრელოში, აქაც მოსავალს კარგი პირი უჩანს. მოხუცი პირები ადასტურებენ, რომ ასეთი კარგი მოსავალი მათ არ ახსოვთ და იმედი აქვთ მომავალ წელს მაინც დააღწიონ თავი შიმშილობას.

ბოლშევიკური მოძრაობა თითო ოროლა ყოფილ ჯარისკაცთა წყალობით აქაც შემოიჭრა და თავისი დაღიც დაასვა ცხოვრებას. წამოიზარდა სიმინდი თუ არა, გუშინდელი „ბოლშევიკი“ ავაზაკის სახით მოევლინა მცხოვრებთ და ეს ვაჟ-ბატონებიც უმოწყალოდ სცარცვავენ და უკანასკნელს კაპეიკს ხელიდან აცლიან საბრალო სოფლელს. მთელი საზოგადოება შებინდებიდან კარჩაკეტილში ათენებს და რაც უნდა მოელოდეს, კარის გაღებას ვერ ბედავს. საითაც მიიხედავ, ყველგან შეიარაღებული საეჭვო პირებითაა სავსე, რაც შიშის ზარსა სცემს მშვიდობიან მცხოვრებთ. ქ. ხონის ბაზარი, რომელიც მეექვსე ვერსზე მდებარეობს და სადაც ყოველ პარასკეობით ბაზრობა იმართება, საზოგადოებისაგან სავსებით მოწყვეტილია და ადგილობრივი მკვიდრს საშუალება არა აქვს თავისი ნაწარმოები აქ გაიტანოს და მისთვის აუცილებელი საგნები შეიძინოს, რადგან აქ მგზავრობა ავაზაკთა მხრით დიდ საფრთხეს წარმოადგენს სოფლელისათვის.

საჭიროა საზოგადოების მოწინავე პირთა კომისრის ირგვლივ შემოკრება, მაგარი ორგანიზაციის შექმნა ადგილობრივ და ყაჩაღ-ავაზაკთა წინააღმდეგ შეერთებული ძალით გამოსვლა და მათი დაუყონებლივ ალაგმვა, რომ ამით საშუალება მიეცეს მშვიდობიან მცხოვრებთ თავისუფლად ამოისუნთქოს და პატიოსან შრომას მოკიდოს ხელი.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ძალა ერთობაშია, და ჩვენც შევეჩვიოთ თვითმოქმედებას ჩვენს საკეთილდღეოდ, თორემ ჩვენს მთავრობას ათასი რამე აქვს გასაკეთებელი და თუ ყოველ ასეთ დროს ჩვენთვის ვერ მოიცლის, მით უმეტეს დღეს, ამაზე ნუ დავემდურებით. საზოგადოებიდან იარაღის აკრება და ქურდ-ავაზაკთა ალაგმვა, თუ მოწინავე პირები კომისარ-მილიციონერებთან ერთად გამოვლენ და შეთანხმებულად იმოქმედებენ, საძნელო საქმე არ წარმოადგენს. იმედია მთავრობის ჯარი, სამეგრელოში წასული გედევანიშვილის და ჯუღელის ხელ-მძღვანელობით ამ საზოგადოებასაც არ დაივიწყებს და შესაფერ განკარგულებას მოახდენს იარაღების აკრების საქმეში, რაც ცხოვრებას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს და ყოველგვარ უწესოებას ბოლოს მოუღებს.

სოფლელი.

---

**რაჭა.** საზოგადოთ მთელი რაჭის გლეხები მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიან. ამიტომ მთელი რაჭის მცხოვრებნი გაფანტული არიან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში სარჩოს საშოვნელად. გახდება თუ არა რვა წლის, ის უკვე მიეშურება ქალაქში, ამიტომ რაჭის გლეხობას ვერ შეყავს სასწავლებელში თავისი შვილი. როგორც ხმები დადის თფილისში ერთს ჯგუფს განუზრახავს დაარსონ კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს გლეხების გადასახლებას თავისუფალ მიწაზე: ფრიად სასარგებლო საქმე განუზრახავს ხსენებულ ჯგუფს, მაგრამ ვერ გაამართლებს უმიწა-წყლო გლეხების იმედებს, უმჯობესი იქნებოდა მთავრობას გაეგზავნა თავისი რწმუნებული და გაემართა მოლაპარაკება ადგილობრივ გლეხებთან, რომ უფრო ნდობით შეხვედროდენ ამ ფრიად სასარგებლო საქმეს. საჭიროა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გაგზავნოს თავისი რწმუნებული ზემოხსენებულ მაზრაში მოსალაპარაკებლათ გლეხებთან. დაგვიანება აღარ შეიძლება, ვინაიდან ერთი თვის უკან ხალხი გაიფანტება სხვადასხვა ქალაქებში და როცა რწმუნებული გააცნობს მთავრობის პროექტს, მაშინ გლეხები აირჩევენ კომისიას, დაათვალიერებენ იმ მიწებს, საცა მთავრობა უჩვენებს. საზოგადოთ სხვა სოფლებთან შედარებით სოფელი შქმერი და მრავალძალი არ განიცდიან მიწის სივიწროვეს, მაგრამ, სამაგიეროთ, დიდი ზამთარი იცის. ქერის მეტი პურეული არ მოდის ხსენებულ სოფლებში. უმჯობესია ხსენებულ სოფლებიდან გადასახლდებოდნენ შესაფერ ადგილას.

ხ. გვიმარაძე.

---

**დ. ნაგომარი** (გურია). დ. ნაგომარი მდებარეობს გურიის შუა ალაგზე, 1905 წლამდე ნაგომარი წარმოადგენდა პატარა ლამაზ დაბას. რეაქციის წყალობით იქნა განადგურებული და ჯერ კიდევ ვერ სდგას ნანახევროთაც თავის სიმაღლეზე. აქ არსებობს უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი, ორკლასიანი, ფ. ტ. განყოფილება, კოოპერატივი როგორც საწვრილმანო ისე სახარაზოც. ბიბლიოთეკა თუმცა არსებობდა ოსმალეთში ოსმალთა შემოსევამდე, მაგრამ იმ დღიდან კი სძინავს. ბიბლიოთეკას აქვს თანხა მოგროვილი სხვადასხვა ამხანაგებში, უნდა აეგებულიყო საკუთარი შენობა. პირველ ენკენისთვიდან აქ გახსნეს საფერშლო პუნქტი. ექიმის თანაშემწეთ დანიშნულია ფერშალი სერაფიონ რამიშვილი, საჭიროა დაარსდეს საავათმყოფოც.

ამ დღეებში მოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც გამოიწვია მდინარე სუფსის ადიდება და სულ მთლად წალეკა ნაპირა ყანები. ზარალი დიდია.

რამდენიმე დღის წინათ აქ ხოლერის ნიშნებით გარდაიცვალა პეტრე სამსონია. ადგილობრივი მოწინავე პირების საშუალებით ყოველივე ზომა იქნა მიღებული, რომ არავის გადასდებოდა ეს საშინელი ავათმყოფობა.

დროებით მცხოვრები.

---

**გორი** (ქართლი). საერობო არჩევნები მაზრაში ჯერ არ დასრულებულა. არჩევნები მოხდა ქ. გორში და მის ახლომახლო ზოგიერთ რაიონებში, გორში ს.-ფედერალისტებმა გაიყვანეს ორი კანდიდატი, დანარჩენმა პარტიებმა—თითო. რაიონებში ყველგან ჩვენი სია იმარჯვებს. საერთოდ ხალხი ძალიან გულგრილად ხვდება არჩევნებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, გორის მაზრის კომისრათ დაინიშნა ამხ. ვ. ე. ქარცივაძე.

სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბმა რაზმი უკვე გაგზავნა ცხინვალში. რაზმსა და ადგილობრივ მკვიდრთ შორის განწყობილება საუცხოვოა. ხალხი ძლიერ კმაყოფილია გვარდიელებით. ძარცვაგლეჯა-თავდასხმამ შესამჩნევათ იკლო.

ცხინვალის რაიონის კომისარმა ფ. ბოცვაძემ შეიპყრო ცნობილი ავაზაკი ნიკო გუნდიშვილი, რომელსაც, სხვათა შორის, ბრალდება ცხინვალის ამბოხებაში მონაწილეობის მიღება და გვარდიელ ვანო მალიევის მოკვლა. გუნდიშვილი მოათავსეს გორის ციხეში.

16 სექტემბერს ცხინვალში შედგა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს კრება. კრებამ საყურადღებო დადგენილება მიიღო ოსებისათვის იარაღის აყრის შესახებ.

17 სექტემბერს თფილისიდან სოხუმისაკენ გავიდა ერთი ეშელონი სახალხო გვარდიელებისა. გორში მას შეუერთდა გორის სახალხო გვარდიის რაზმი.

ამ დღეებში სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბმა ცნობები მიიღო, რომ საინტენდანტოს ადგილობრივ საწყობიდან ნივთებს იტაცებენო. გაგზავნილ იქნა გვარდიელები, რომლებმაც შეიპყრეს საწყობის მოსამსახურე კურდღელაშვილი. მას უპოვეს ნაპარევი „პალატკები“, მაზარები და სხ. რომლებიც ურმით გაჰქონდა სოფლათ. კურდღელაშვილი, ნოღაიშვილი და ერთიც კიდევ, რომლის გვარი ვერ გავიგეთ, შეიპყრეს და გადაეცა კომისარიატს. გამოძიება სწარმოებს. კურდღელაშვილი ყოფილი ჯარისკაცია. იგი მეოთხე პოლკის აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა და ბრბოს მეთაურობდა.

X.

## მუშათა შორის

**მეეზოვეების მოთხოვნილება.** 1) დღეში მუშაობის განსაზღვრა 8 საათით, 2) სიტყვა მეეზოვე უნდა შეცვლილი იქნას ეზოს დარაჯი, 3) წელიწადში ერთი თვით დასვენება, 4) ჯამაგირის მინიმუმი 400 მან. თვეში, 5) ნათელი და სუფთა ოთახი ან ბინის ფულათ 30 მანეთი, 6) მიღება და დათხოვნა უნდა ხდებოდეს პროფესიონალურ საბჭოს მიერ, 7) უმიზეზოთ დათხოვნილ მეეზოვეს პატრონი აძლევს ერთი თვის ჯამაგირს, თუ მას სამ თვემდე უმსახურნია, სამი თვის ჯამაგირს, სადილის ფული 200 მან. და ბინის 30 მან. თუ სამ თვეზე მეტი აქვს ნამსახური, 8) სახლის ყარაული განთავისუფლებულია ყველა თავის არა პირდაპირ მოვალეობის ასრულებისაგან, 9) ავათმყოფობის დროს სახლის პატრონი ვალდებულია უწამლოს თავის ხარჯით მოსამსახურეს, აძლიოს ექვსი თვის განმავლობაში ჯამაგირი და თუ ვინიცობაა გარდაიცვალა, ეზოს დარაჯი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ოჯახი. იმ ნორმით, რომელიც მოხსენებულია მე 7 მუხლში, 10) პატრონი ვალდებულია დაუყონებლივ აძლიოს ეზოს დარაჯს ცოცხი, ფეშტამალი, ნავთი, წუმწუმა და ყველა ის, რაც საჭიროებას შეადგენს სახლის დასუფთავებისთვის, 11) თუ პატრონს სურს დათხოვნა, ის ვალდებულია 15 დღის წინ გამოუცხადოს მოსამსახურეს და აგრეთვე აცნობოს პროფესიონალურ საბჭოს, 12) ზრდილობიანი მოპყრობა, 13) ჯამაგირი ყოველ თვე ეძლევათ, 14) უქმის და კვირა დღის მუშაობის საფასური ერთი ორათ უნდა გადაიხადოს პატრონმა, 15) გაფიცვის დღეების ჯამაგირები ეძლევათ სრულიად. თუ ეს მოთხოვნილებები არ იქნება დაკმაყოფილებული 1 ოქტომბრამდე, ეზოს დარაჯები გაფიცვას აცხადებენ.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ 190 №-ში 6 სექტემბერს მოთავსებული იყო ზ. ქურულის წერილი, რომელშიაც ის მეხება მე, კანტროლიორ ცხადაძეს; მისი მოგზაურობის დროს თფილისიდან ხაშურამდე 4 და 7 აგვისტოს ვითომც ბილეთები არ გაგვეშინჯოს მგზავრებისთვის, სანთლები არ იყო ვაგონებში ანთებულიო და სხვ. რა საბუთებით ამტკიცებს ქურული, რომ ვითომ იმ რიცხვებში მე ვყოფილიყავ მატარებლების უფროსი, არ ვიცი; ეს ყოველივე სიმართლეს მოკლებულია, რადგან ოთხ აგვისტოს მე მატარებლის უფროსათ ვიყავი განჯის მხარეზე, და ხაშურისკენ არ ვყოფილვარ, 7 აგვისტოს კი თავისუფალი ვიყავი და ვიმყოფებოდი ქუთაისში. რომ მე ჩემს მოვალეობას პატიოსნათ ვასრულებ, ეს მთელმა საზოგადოებამ იცის და რკინის გზის ადმინისტრაციამაც, ზ. ქურული ან შეცდომაშია შეყვანილი, ან და მას პირადი ინტერესი უნდა ჰქონდეს რამე ჩემთან. მე კი ვურჩევდი—ნუ შეგყავთ შეცდომაში ნურც რედაქცია და ნურც მკითხველი საზოგადოება, ამითი უფრო სარგებლობას მოუტანთ ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას.

კანტროლიორი ვ. ცხადაძე.

---

პატივცემულო უფალო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ წერილს თქვენს გაზეთში. მე ვარ გამოქცეული ცოლშვილით ბათუმიდან; 27 მარტიდან ამავე წელს დავტოვე ჩემი საცხოვრებელი მოძრავი და უძრავი. როგორც ცნობა მაქვს ბათუმიდან, მოძრავი სულ დაკარგულა და სახლებშიაც მდგმურები უფასოდ დგანან. მე დღევანდლამდე „პროპუსკს“ არ მაძლევდნენ; დღეს სამინისტროს საშუალებით, როგორც სამსახურის კაცმა, მივიღე „პროპუსკი“ და ვემზადები ბათუმში წასასვლელად, მე ვარ სამსახურში ბათუმის ქალაქის თვითმართველობაში; სადაც ჯერაც ვითვლები. ჩემი ამხანაგები, რომლებიც ქუთაისში იყვნენ უკვე წავიდნენ ბათუმში თავიანთ ადგილებზე. მე ვცხოვრობდი დაბა საჩხერეში, ამიტომ გვიან შევიტყვე ეს ამბავი. ამის შემდეგ წავედი ქუთაისში, მივმართე თხოვნით ბატონ გუბერნიის კომისარს, ვსთხოვე „პროპუსკი“ ბათუმში წასასვლელი, წარვუდგინე დამამტკიცებელი საბუთი ჩემი სამსახურისა, აგრეთვე ვსთხოვე, რომ—რადგანაც ჩემ ამხანაგებს და აგრეთვე ყველა ლტოლვილთ, რომლებიც ცხოვრობდენ ქუთაისში მიუღიათ დახმარება იმ ფულიდან, რომელიც იყო გადადებული გადმოხვეწილებისათვის, ბატონმა კომისარმა მიიღო ჩემი თხოვნა გულთან ახლოს და ათ წუთში „პროპუსკი“ მომცა. შესახებ დახმარებისა გამგზავნა ქუთაისის ქალაქის თავთან—იმას ეტყვით და ის დაგაკმაყოფილებსო. მივმართე ქალაქის თავის თანაშემწეს უფალ გეგელაშვილს, ავუხსენი ჩემი ყოველივე გარემოება და ვინაობა. მკითხა, რათ ცხოვრობ ქუთაისშიო,—ვუპასუხე: მე აქ დროებით ვარ მოსული მეთქი, იმან მიპასუხა, რომ რადგანაც აქ არა ცხოვრობთ, აქ ჩვენ ვერ მოგცემთო. თქვენ მიმართეთ თავმჯდომარეს სალდათის, მუშათა და გლეხთა აღმასრულებელ კომიტეტისას, უფალ ანთელაძესო.

შემდეგ ამისა მივმართე ბატონ ანთელაძეს, რომელმაც ხუთ წუთში დამაკმაყოფილა: მომცა თავისი ბარათი, მისწერა ყვირილის ქალაქის თავს, რომ იმ გამოგზავნილი ფულიდან, რომელიც ჩვენ გამოგიგზავნეთ გადმოხვეწილებისათვის, ამის მომტანი ალიბეგოვი დააკმაყოფილეო; მოვედი ყვირილაში, მივმართე ქალაქის თავს. თხოვნა დავწერე, ჩავდე ამ თხოვნაში ეს „ვიზიტნი კარტოჩკა“ ბატონი ანთელაძისა და ჩემი სამსახურის საბუთიც და მივართვი; ამან მიბძანა წაბძანდით საჩხერეშიო, თქვენ ბინაზეო და იქ მიიღებთ ამის პასუხსაო, წაველი საჩხერეში, გავიდა ორი კვირა, პასუხი ვერ მივიღე, მივწერე წერილი კიდევ, არ მიპასუხა, წავედი მეორეთ მივმართე, დღე იყო შაბათი, შევაწუხე და დამინიშნა მეორე დღისათვის კომისია, რომლებმაც უარი მითხრეს საჩხერე ყვირილის რაიონი არ არისო, საჩხერე ეკუთვნის ჭიათურასაო და იქ მიმართე, იქ მოგცემენო. ეს რეზოლიუცია დააწერეს ჩემ თხოვნაზე და დამიბრუნეს, ამის შემდეგ მეტი რა ღონე მქონდა და მივმართე მეხუთე ალაგას ჭიათურის თავმჯდომარეს (გვარი არ მახსოვს). ბატონმა თავმჯდომარემაც დააწერა ამავე ჩემ თხოვნაზე თავისი რეზოლიუცია: „ჭიათურაში ამ გვარი კომიტეტი არ არსებობდა და არც არსებობსო“. რადგანაც კმაყოფილება ვერ მივიღე, ერთხელ ქუთაისში ჩავედი, ორჯერ ყვირილაში, შემდეგ ჭიათურაში, ამისათვის მივმართე უმაღლეს მთავრობის უფალს ფინანსთა მინისტრს ქურულს და წარვუდგინე ეს ჩემი თხოვნა ყოველივე საბუთებით, ბატონმა ქურულმა მიპასუხა: რადგანაც ეს საქმე მე არ შემეხება, წარუდგინე უფალს შინაგან საქმეთა მინისტრსო, თანახმად ქურულის განკარგულებისა 11 სექტემბერს წარვადგინე შინაგან საქმეთა სამინისტროში, საიდანაც დარწმუნებული ვარ, მივიღებ კმაყოფილებას. უკეთუ ზემოხსენებული პირები რომელიმე იტყვის, რომ მე რაიმე სიცრუეს ვწერ, ამავე გაზეთის საშუალებით მომთხოვონ პასუხი, რასაც დაუყონებლივ მიიღებენ საბუთებით და მოწმეებით.

ივანე იაგორის ძე ალიბეგოვი.

---


გამოვიდა და იყიდება

უნივერსიტეტის და თეატრის

**5.000.000 მანეთის**

ლატარიის ბილეთები.

ბილეთი ღირს 25 მანეთი

პირველი მოგება

100.000 მანეთია.

ბილეთები იყიდება იქ, საცა გამოცხადებულია. (60—6)

---

13 სექტემბერს დილის 10 საათზე ტრამვაის ვაგონში

**ამომაცალეს ჯიბიდან**

„ბუმაჟნიკი“, რომელშიდაც იყო 4000 მ. ძველი ნიკოლოზის ფული 150 მ. ქართული ფული, ბრილიანტის ქვა ნაყიდი 1500 მ. 38000 მ. ვექსილები და სხვა კვიტანციები და დოკუმენტები არ მახსოვს რამდენი,—აგრეთვე შიგ იყო ჩემი სადარბაზო ბარათებიც—წამღებს ან მნახველს ვსთხოვ თამასუქები, რადგან მისთვის გამოუსადეგარია, გამოგზავნოს ადრესით თფილისი სასტ. „ფრანცია“ № 20.

პლატონ ლევანის ძე მახარაძე (1—1)

---

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

მს. ქალი ე. ბ. ზიშლო-სასაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74

---

სამკურნალო კაბინეტი

ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეხაპენება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი

იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24—20)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

ექიმი ზ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქთან ... სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

---

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 სათ. შინაგან სახავშო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

---

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15 ტელ. 18—03.

---

ექიმი

**გ. გოლდფელდი**

ყოფილი ასისტენტი ... თფილისის ... უნივერსიტეტის კლინიკის

**თვალის ავადმყოფობა**

ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8 საათამდე და 5—8 საათამდ. ნიკო... ზის ქუჩა, № 32.

---

მეწისქვილეთა საყურადღებოდ

შესცვალეთ თქვენი წისქვილის ხის ბორბლები რკინისაზე. რკინის ბორბლებს აკეთებს

**გენრიხ ილგი**

თფილისში პესკის (19 თებერვლის) № 77. აგრეთვე იღებს გუთნებს შესაკეთებლათ. (1—...)

---

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მებრაბიანცი**

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ელექტროსა... გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა, წამლობა X-ს სხივებით დიდი სალ... იდი და არსევალის ტოკით ფილტვის, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფებისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ... თოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

ქართული კლუბი

კვირას, 22 სექტემბერს დანიშნულია

**ეროვნული კონცერტი**

კომპოზიტორ

**ნ. ბ. სულხანიშვილისა**

სამს განყოფილებათ. სულხანიშვილის ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ შესრულებულ... ნება ეროვნული ჰიმნები ცნობილ კომპოზიტორებისა, ეროვნული სიმღერები... ბოლოს ჰიმნები „ღმერთო, ღმერთო“, ჰიმნთა კონკურსზე ყველაზე საუკეთესო... ცნობილი. ეს ჰიმნი შესრულებულ იქნება სიმფონიურ ორკესტრით. კონცერტ... მონაწილეობას იღებენ ქ-ნი შულგინა და ბ. ჭუმბურიძე. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

---

სახელმწიფო თეატრი

1918—19 წლ. ოპერის სეზონი. ნ. ლ. ლევიცკის დირექცია. შაბათი, 21 სექტემბერი—რიხარდ ვაგნერი

**ტანჰეიზერი**

ოპერა 3 მოქ. 4 სურათად.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ვოლ-ლიცკაია, შვალბერგ, ვიშემირსკაია, გედევანიშვილი, ვლადინა. ბ. ბ. კანშინი, ვრონსკი, მოლჩანოვი, ნიკოლსკი, საბინინი, კურბატოვი, ორლოვი, დირიჟორი სტოლერმანი. კასა ღიაა 10—2 საათ. საღამოს 6 საათ. სპექტაკლის გათავებამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: კვირას, 22 სექტემბერს „რიგოლეტო“; ორშაბათს, 23 სექტემბერს „ევგენი ონეგინი“.

---

საზაფხულო კაფე რესტორანი **„ამირანი“** ვერის დაღმართი, ბაღი მელიქ-აზარიანცისა.

ღიაა დილის 10 საათიდან—ღამის 11 საათ.

საუზმე, სადილი, ვახშამი, ჩაი, ყავა და სხვ. სამშაბათობით და პარასკეობით უკრავს საზანდარი, ოთხშაბათობით და შაბათობით ველიკორუსული ორკესტრი მ. ა. შჩეგლოვის ხელმძღვანელობით. კვირაობით აზიური სადილი და საზანდარი. (2—1)

---

**თფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია**

ამით აცხადებს ქართველ მშობელთა საყურადღებოთ, რომ გაეროვნებულ მოსამზადებელ კლასის ყველა განყოფილებებში

**თავისუფალი ადგილია**

თხოვნების მიღება გაგრძელებ. 1 ღვინობისთვემდე.

დირექტორი ილ. ლორთქიფანიძე.

---

**განცხადება**

თფ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას მიზნად აქვს უზრუნველყოს თფილისის მცხოვრებნი საჭირო ნახშირით 1918—9 წლის ზამთრის განმავლობაში, ამიტომ იწვევს მსურველთ, ვისაც შეუძლია

**ნახშირის მოწოდება,**

შემოიტანონ საამისო განცხადება, დახურული კონვერტით. განცხადებაში საჭიროა აღნიშნონ ნახშირის რაოდენობა, ფასი, რიცხვი და ადგილი მიწოდებისა. უკანასკნელი რიცხვი განცხადების შემოტანისა არის 23 სექტემბერი დღის 12 საათი.

მისამართი: თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება, რუსთაველის და ბებუთოვის ქუჩების კუთხე.

(2—2) ქალაქის გამგ. სასურსათო განყოფილება.

---

**განცხადება**

სასურსათო საქმის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მარილის შესახებ, რომელიც იყო დანიშნული 5 სექტემბერს არ შესდგა სხვადასხვა ფორმალურ მიზეზებისა გამო. სამინისტრო ხელ-ახლა იუწყება, რომ 25 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, სასურსათო სამინისტროს შენობაში მოხდება ხელ-მეორე

**საჯარო ვაჭრობა**

სამინისტროსათვის 800,000 ფუთი მარილის მიწოდების შესახებ

(მარილი უნდა იყოს კრისტალური, მარცლოვანი)

ის პირნი, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ამ ვაჭრობაში უნდა გამოცხადდნენ ზემო აღნიშნულ დროს სასურსათო საქმის სამინისტროს შენობაში; სავალდებულოა შემდეგი:

1) საწინდარი არა ნაკლები 5,000 მან., რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობის დროს.

2) სახელი, მამის სახელი და გვარი მსურველისა.

3) დრო, როდის იქნება მოტანილი მარილი, ხარისხი და გვარი მარილისა.

4) ფასი „ფრანკო ვაგონი“ საქართველოს რკინის გზისა.

5) პირობები ფულის გადახდისა.

6) განცხადება უნდა იქნეს შემოტანილი წერილობით დახურულ კონვერტებში არა უგვიანეს 25 სექტემბრისა 12 საათზე. კონვერტზე უნდა იყოს დაწერილი: სასურსათო საქმის სამინისტროს მიმწოდებელ განყოფილების უფროსს.

გზათა მიმოსვლის და სასურსათო საქმის მინისტრი ლორთქიფანიძე.

მომწ. განყ. უფროსი ადამია. (6—3)